შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური

# გაზეთი IBSU

2021 წ. N9

## სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები - პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა

მარიამ დვალი,
ანა იაშვილი

გვ.3

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მსოფლიოს 135 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. ყოველწლიურად სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გაიარონ შესარჩევი პროცესი და ერთი სემესტრის განმავლობაში გაემგზავრონ საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი მელექ ალკანი, ამბობს, რომ უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. ამ გზით უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებს აძლევს მიიღონ ხარისხიანი განათლება მათთვის სასურველ სფეროში, გაიცნონ და შეიძინონ ახალი მეგობრები და ეზიარონ უცხო ქვეყნის კულტურას. გარდა ტრადიციული სემესტრული გაცვლითი პროგრამებისა, IBSU სტუდენტებს სთავაზობს ორთვიან სტაჟირებებს საზღვარგარეთ, სტაჟირების მთავარი მიზანია სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება მიეცეთ. **„გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მარტივია, ამისთვის საჭიროა, რომ სტუდენტს ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, გამართულად მეტყველებდეს და წერდეს ინგლისურად, იყოს მონდომებული. გაცვლით პროგრამაში სტუდენტის მონაწილეობა ორი სასურველი მიზეზის გამოა უმჯობესი.**






## „ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგის მომავალია“ - კახაბერ ჯაყელი

გვ.3




## ისწავლე თავად და ასწავლე სხვას - ბიზნესანბანის პროექტი

გვ.7

## ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ საფფეთ ბაირაქთუთანთან

ლუკა ქოქოსაძე,
გია კვეკვესკირი

გვ.11



აბიტურიენტებისთვის ამაღელვებელი ეტაპი დადგა - ერთიანი ეროვნული გამოცდები მოახლოვდა და ისინი მომავალ პროფესიებსა და სასურველ უნივერსიტეტებს შორის არჩევანს აკეთებენ. თავის მხრივ, უნივერსიტეტებიც ემზადებიან მომავალი სტუდენტების მისაღებად, სწორედ ამ თემაზე ვესაუბრეთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს, დოქტორ საფფეთ ბაირაქთუთანს.

**-მოგესალმებით ბატონო საფფეთ! რა სიახლეებს სთავაზობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მომავალ სტუდენტებს?**

-აბიტურიენტებს წინ აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები, მინდა წარმატება ვუსურვო მათ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს უნივერისტეტს ის უპირატესობა აქვს, რომ ბევრ სპეციალობაზე ჩვენ გვაქვს როგორც ინგლისურენოვანი, ასევე - ქართულენოვანი სექტორი. **უნივერსიტეტში მოქმედებს მრავალფეროვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, IBSU-ს პროგრამების ხელმძღვანელებს ხშირი კომუნიკაცია აქვთ უცხოელ კოლეგებთან და კონტაქტების მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად იხვეწება. შესაბამისად, ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობა საკუთარი პროფილით საქმდება. ჩვენ გვაქვს ოცდახუთწლიანი ტრადიცია, ამ ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება აუცილებელია. ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ძლიერი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პედაგოგების კვალიფიკაცია, აგრეთვე, ძალიან მაღალია.**



## კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება IBSU-ში

გვ.2



## თვითმმართველობის არჩევნები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

გვ.6

# 2020 და 2021 წლის კურსდამთავრებულები IBSU-ს გამოემშვიდობნენ



14-15 ივლისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2020 და 2021 წლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება გაიმართა. საღამო კოვიდრეგულაციების მაქსიმალური დაცვით ჩატარდა, მას უნივერსიტეტის თანამშრომლები თინათინ გრძელიშვილი და ელენე დუნდუა უძღვებოდნენ. ღონისძიება ქართულად და ინგლისურად გაიმართა, რადგან უმაღლესი სასწავლებლის ინგლისურენოვანი პროგრამები რამდენიმე ასეულმა უცხოელმა სტუდენტმაც დაასრულა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი დოქტორი საფფეთ ბაირაქთუთანი. მან კურსდამთავრებულებს მიულოცა ბაკალავრიატის საფეხურის დამთავრება და გზის წარმატებით გაგრძელება უსურვა:

**—"ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ ჩვენი კურსდამთავრებულებით, გვინდა, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები არ დაიკარგონ და, ტრადიცია, რომელიც ჩვენთან არის, გავაგრძელოთ. თქვენთვის ცნობილია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ძალიან გამორჩეულები არიან. მინდა, რომ თქვენთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც სასარგებლო იყოს აქ მიღებული განათლება. მინდა, გისურვოთ მრავალი წარმატება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ამ პანდემიის პირობებში და მინდა, კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს ასეთ საზეიმო ვითარებაში",** აღნიშნა რექტორმა საჯარო გამოსვლისას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელიწადის შესახებ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსაც გავესაუბრეთ:

„IBSU -ში გატარებული 4 წელიწადი ძალიან სასიამოვნოდ მახსენდება ყოველთვის, რადგან ამ წლებმა, გარდა განათლების მიღებისა, პრაქტიკული უნარების გამომუშავებაშიც შემიწყო ხელი. იქნება ეს სტუდენტურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, მაგალითად, თვითმმართველობის არჩევნები, კლუბური ცხოვრება, რომელშიც პირველივე კურსიდან ჩავერთე, თუ სრულად დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა უცხოეთში," ერასმუს+" პროგრამით", გვითხრა ეკონომიკის პროგრამის კურსდამთავრებულმა, გიორგი მენაბდიშვილმა.

ცისია ქოჯური საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის კურსდამთავრებულია, მან IBSU-ში გატარებული 4 წელიწადი შეაფასა, როგორც „მრავლისმომცემი და საინტერესო", მისი თქმით, ბედნიერია, რომ ამ დიდი ოჯახის წევრია:

"უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე დამხვდა ახალი გარემო, დატვირთული, აქტივობებით სავსე სტუდენტური ცხოვრება. თითქოს ეს უნივერსიტეტის პატარა კამპუსი გვაერთიანებს ამდენ ხალხს. აქ მივიღე კონკურენტუნარიანი განათლება, რომელიც დასაქმებაში ნადვილად შემიწყობს ხელს. მეამაყება, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული რომ ვარ. მიღებული განათლების, ადმინისტრაციის, არაჩვეულებრივი ლექტორების, შეძენილი მეგობრების გამო, რადგან აქ ძალიან გავიზარდე".

კურსდამთავრებულებმა ადმინისტრაციისგან საჩუქრად პროგრამების დასრულების დამადასტურებელი სიგელები და ხავერდში ჩასმული სახელობითი სუვენირები მიიღეს.







# IBSU -ში სწავლის უპირატესობები-მოთხოვნადი პროფესიები, ინტერნაციონალიზაცია, დასაქმება და შეღავათიანი შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა

## ინტერვიუ ვიცე-რექტორთან, პროფესორ, დოქტორ, თეა კბილცეცხლაშვილთან

ჯულია ჩირგაძე

პროფესორი, დოქტორი, თეა კბილცეცხლაშვილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორად 2020 წლის ნოემბერში დაინიშნა. მანამდე იგი ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი გახლდათ. ჩვენი გაზეთი თეა კბილცეცხლაშვილს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ გაესაუბრა.

**-ქალბატონო თეა, ბოლო წლებში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU-ში ) სტუდენტთა ნაკადი მზარდია, თქვენი აზრით, რამ განაპირობა ასეთი დინამიკა?**

-ჩვენ ვართ უნივერსიტეტი, რომელიც 26 წელია საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებს. უნივერსიტეტი დაარსდა 1995 წელს და ჩვენ ვიყავით პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც სტუდენტებს შესთავაზა ინგლისურენოვანი სწავლება, რასაც დღემდე წარმატებით ვახორციელებთ. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ქართულ და ინგლისურ ენებზე და დაკომპლექტებულია როგორც ადგილობრივი და უცხოელი მაღალკვალიფიციური პროფესორებით, ასევე - პრაქტიკოსი სპეციალისტებით. უნივერსიტეტში ისწავლება შრომით ბაზარზე არსებული ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები. უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიების დაუფლებას, რაც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობას. მოგეხსენებათ,დღესდღეობით სტუდენტისთვის მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის, სწავლის პროცესშივე აუცილებელია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ამიტომ, საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური საკითხების საფუძვლიანი ცოდნის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას; ამავდროულად, არსებული პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს უპასუხონ თანამედროვე გარემოს გამოწვევებს და ხელს უწყობს მათ საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში; სწავლის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სტუდენტების ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ფორმირებაზე. ინტერაქტიული სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროექტების, ანალიზისა და დისკუსიების თანხლებით. უნივერსიტეტი გამოირჩევა მრავალფეროვანი პროექტების (რომელშიც არაერთხელ გაუმარჯვიათ უნივერსიტეტის სტუდენტებს), მრგვალი მაგიდის დისკუსიების, საჯარო ლექციებისა და ტრენინგების, სემინარებისა და კონკურსების,საერთაშორისო კონფერენციებისადა სიმპოზიუმების მრავალფეროვნებით;უნივერსიტეტი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გაცვლითი პროგრამების საშუალებით საერთაშორისო გამოცდილების მიღებისა და პროფესიულად განვითარების შესაძლებლობას აძლევს; კურსდამთავრებულებს გააჩნიათ ყველა საჭირო უნარ-ჩვევა და შესაბამისი განათლება, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას და შესაძლებლობას აძლევს ადვილად დასაქმდნენ, როგორც საქართველოში, ისე - მის ფარგლებს გარეთ. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უცხოეთის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტთან.



**-რას სთავაზობს უნივერსიტეტი სტუდენტებს და აბიტურიენტებს საინტერესოს და განსხვავებულს?**

-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. მიგვაჩნია, რომ IBSU ინარჩუნებს საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტის სტატუსს ხარისხიანი განათლების, მოთხოვნადი პროფესიების, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც ემსახურება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას. ძალზედ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის დაფინანსების და გრანტების მოქნილი სისტემა, რომელიც სტუდენტებს სწავლის საფასურის დარჩენილ გადასახადზე დამატებით შეღავათს სთავაზობს. შიდა გრანტები მოქმედებს როგორც სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებისთვის, ასევე - ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებისთვის, FLEX პროგრამის მონაწილეებისთვის, ეროვნულ-სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე აბიტურიენტებისთვის, საქართველოს ეროვნული ნაკრების სპორტსმენებისთვის, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისთვის. აღსანიშნავია ის, რომ უნივერსიტეტში ყოველწიურად ირიცხებიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები; ყოველწლიურად იზრდება გრანტიანი სტუდენტების მაჩვენებელი.

უნივერსიტეტში წლებია დანერგილია სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომების პრაქტიკა. უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მიგვაჩნია გაცლითი პროგრამები ევროპის, ამერიკისა და აზიის პარტნიორ უნივერისტეტებთან (ERASMUS+ -ის და DAAD-ის პროგრამები), რომელიც სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო გამოცდილების მიღებასა და პროფესიულად განვითარების შესაძლებლობას აძლევს;

**-როგორია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლი?**

-უნივერსიტეტი გამოირჩევა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით (95%), რასაც განაპირობებს კარიერის დაგეგმვის სამსახურის ეფექტური საქმიანობა. კერძოდ: კომპანიებისა და სტუდენტების შეხვედრებისა და დასაქმების სისტემატური ფორუმების ორგანიზება, საერთაშორისო დამსაქმებლების მოწვევა, შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება და ანალიზი, კომპანიების მოთხოვნის შესაბამისად შიდა რეკრუტმენტი, ფაკულტეტებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შერჩეული საუკეთესო სტუდენტების გაგზავნა კომპანიებში და მათი დასაქმება პროფესიის შესაბამისად. სწავლების პროცესში გამომუშავებული საჭირო უნარ-ჩვევების შედეგად სტუდენტების უმეტესი ნაწილი (III და IV კურსი) დასაქმებულია და მათთვის უნივერსიტეტში შექმნილია ხელსაყრელი გარემო,კერძოდ,სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ იმუშავონ დღის საათებში და ლექციებს დაესწრონ საღამოს.

როგორც უკვე ვახსენე, საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური საკითხების საფუძვლიანი ცოდნის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, რაც ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმებაში.

**-როგორია მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების გეგმა?**

-სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გავაფორმოთ უფრო მეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, გავხდეთ მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, განვავითაროთ ორმაგი ხარისხის პროგრამები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, განვახორციელოთ და მივიღოთ მონაწილეობა

გაგრძელება გვ.3

# სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები - პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა

მარიამ დვალი,
ანა იაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მსოფლიოს 135 უნივერსიტეტთან თანამშრომლობს. ყოველწლიურად სტუდენტებს ეძლევათ საშუალება გაიარონ შესარჩევი პროცესი და ერთი სემესტრის მანძილზე გაემგზავრონ საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დოქტორი მელექ ალკანი ამბობს, რომ უნივერსიტეტის სამივე ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. ამ გზით უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებს აძლევს მიიღონ ხარისხიანი განათლება მათთვის სასურველ სფეროში, გაიცნონ და შეიძინონ ახალი მეგობრები და ეზიარონ უცხო ქვეყნის კულტურას. გარდა ტრადიციული სემესტრული გაცვლითი პროგრამებისა IBSU სტუდენტებს სთავაზობს ორთვიან სტაჟირებებს საზღვარგარეთ, სტაჟირების მთავარი მიზანია სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება მიეცეთ: **„გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მარტივია, ამისთვის საჭიროა, რომ სტუდენტს ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება, გამართულად მეტყველებდეს და წერდეს ინგლისურად, იყოს მონდომებული. გაცვლით პროგრამაში სტუდენტის მონაწილეობა ორი სასურველი მიზეზის გამოა უპრიანი. უპირველესყოვლისა, სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში, უკეთ ეცნობიან საკუთარ თავის სუსტ და ძლიერ მხარეებს, რაც პიროვნული ზრდისა და კარიერული წინსვლის აუცილებელი წინაპირობაა. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ მობილობით სხვა ქვეყანაში წასვლა დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას ნიშნავს. ჩვენ სტუდენტებს ვთავაზობთ ერასმუს + პროგრამას და 2-თვიან საერთაშორისო სტაჟირებას საზღვარგარეთ, რათა სტუდენტებმა აიმაღლონ ცოდნა და უკან ახალი და საინტერესო გამოცდილებით დაბრუნდნენ“.**


მელიქ ალკანი

ეთო გლურჯიძე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელიც გაცვლითი პროგრამით ნახევარი სემესტრი ჩინეთში, კონკრეტულად ქალაქ ბეიჯინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში იღრმავებდა ცოდნას საერთაშორისო ეკონომიკასა და ვაჭრობაში. ბეიჯინში გატარებულმა ნახევარმა სესმესტრმა ეთოს საშუალება მისცა, ესწავლა დამოუკიდებლად ცხოვრება, მიეღო პროფესიული გამოცდილება, გაეფართოებინა სოციალური კავშირები. **„გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა არის საერთაშორისო გამოცდილება, ეცნობი სხვა ქვეყნის კულტურას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოს, საშუალება გეძლევა იმ ქვეყნის მოქალაქეების თვალით დაინახო მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები. გაცვლითი პროგრამა გაჩვევს უცხო გარემოში ცხოვრებას და უფრო მეტად დამოუკიდებელი ხდები.** ჩასულს ძალიან კარგი საცხოვრებელი პირობები დამხვდა, ვმონაწილეობდი უცხოელ სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა აქტივობებში, რამაც განავითარა ჩემი პროფესიული კავშირები და უფრო მეტად ინტერნაციონალური




სანაცნობო წრე ჩამომიყალიბა. ამჟამად ვმუშაობ კვლევებზე ერთ-ერთ ორგანიზაციაში და ვიკვლევ სწორედ ჩინეთთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებს. სტუდენტებს მოვუწოდებ აუცილებლად გამოიყენონ ეს შანსი და მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რადგან ეს მათ დაეხმარება იპოვონონ საკუთარი თავი და მიიღონ საერთაშორისო განათლება“. ლიზი ალასანია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. ამჟამად ლიზი გერმანიაში საქსონიის ქალაქ ცვიკაუში ერასმუს+ -ის გაცვლითი პროგრამით იმყოფება. როგორც თვითონ ამბობს, არ ეგონა პირველკურსზევე თუ მიეცემოდა საზღვარგარეთ სწავლის შანსი, თუმცა გაუმართლა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისგან დადებითი პასუხი მიიღო. **„თითქმის 3 თვეა, რაც გერმანიაში ვარ და ვსწავლობ ცვიკას უნივერსიტეტში კომპიუტერულ მეცნიერებებს. ჩემი ცხოვრება არ არის ისეთი მრავალფეროვანი, როგორიც ის არაპანდემიურ გარემოში იქნებოდა. სწავლა, ისევე როგორც საინტერესო ღონისძიებები და ვორქშოფები. დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს. ვცდილობ რაც შეიძლება მეტი გამოცდილება და დადებითი მოგონება დავაგროვო. მინდა მადლობა გადავუხადო ორივე უნივერსიტეტს, რომ მომცეს საშუალება ერთი სემესტრი გამეტარებინა გერმანიაში და გავცნობოდი ახალ კულტურას. აუცილებლად მიიღეთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, რადგან ის არამხოლოდ პროფესიულ, არამედ პიროვნულ ზრდაშიც ძალიან დაგეხმარებათ“.** გაცვლითი პროგრამა სტუდნტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ახალი მეგობრები, გაეცნონ უცხო ქვეყნის კულტურას,გახდნენ უფრო დამოუკიდებლები და,რაც მთავარია,მიიღონ ცოდნა, რომელსაც შემდეგ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენებენ.

# „ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგის მომავალია“

## ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ კახაბერ ჯაყელთან

ნინო დოლიძე

მარკეტოლოგი და ქართულ-ევროპული მარკეტინგული ასოციაციის აღმასრულებელი ოფიცერი კახაბერ ჯაყელი თხუთმეტი წელია, რაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორია. მარკეტინგის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ამ ინტერვიუში პროგრამის გამოწვევებზე , სწავლის ხარისხზე , სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებასა და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრა.



**-იქნებ, გაიხსენოთ, როგორ გახდით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი? ორიოდე სიტყვით თქვენი ბიოგრაფიის შესახებ გვიამბეთ..**

-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი გავხდი 2006 წლის დასაწყისში იმ პერიოდში მქონდა უკვე დაცული სადოქტორო დისერტაცია და ვმუშაობდი ერთ-ერთი საერთაშორისო ღვინის კომპანიის მარკეტინგის განყოფილებაში მენეჯერის თანამდებობაზე. როდესაც გავიგე ,რომ გამოცხადებული იყო კონკურსი მარკეტინგის ლექტორის თანამდეობაზე გამოვეხმაურე ამ განცხადებას. გასაუბრების დროს მომიწია ინგლისურ ენაზე ლექციის წაკითხვა, კონკურსი წარმატებით გავიარე და ასე გავხდი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერტიტეტის ლექტორი. ავღნიშნავ იმასაც ,რომ სამსახურში მარკეტინის სფეროში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ძალიან დამეხმარა აკადემიური კარიერის სხვადასხვა ეტაპზე.

**-საქართველოში მარკეტინგის სგანამათლებლო პროგრამები არაერთ უმაღლეს სასწავლებელს აქვს, თუ შეგიძლიათ თქვათ, რითი განსხვავდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე არსებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები?**

-ფაკულტეტზე მარკეტინგის სამი პროგრამა გვაქვს,ბაკალავრიატის დონეზე - ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი, ხოლო სამაგისტრო დონეზე - მხოლოდ ინგლისურენოვანი. მარკეტინგის პროგრამები აშშ-ს იელისა და ქენესოუს უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით. მე გახდით 2007 წელს იელის უნივერსიტეტის ფულბრაიტის სტიპენდიატი და შემდეგ 2017 წელს ვიყავი მიწვეული პროფესორი ატლანტაში ქენესოუს უნივერსიტეტში მარკეტინგის ფაკულტეტზე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაცვლით პროგრამებში მიღებული გამოცდილება პროგრამების დახვეწისა და გაძლიერებისათვის გამოვიყენეთ. ვფიქრობ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი მარკეტინგული სკოლა სწორედ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს.

**-რითი იყო გამორჩეული 2020-2021 სასწავლო წელი? პანდემიისა და დისტანციური სწავლების პირობებში თქვენს ფაკულტეტზე სწავლის ხარისხი როგორ შეინარჩუნეთ?**

-მინდა აღვნიშნო,რომ ჩვენ გვყავს წამყვანი პროფესიონალები მარკეტინგის პროგრამაზე ეს არის ბატონი ირაკლი ხვთისიაშვილი, ასევე ასწავლიან ისეთი წარმატებული პროფესორები, როგორებიც არიან ნიკა მახარაშვილი,მაკა ბუღულაშვილი, თეა კბილცეცხლაშვილი. ძლიერი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წყალობით ონლაინ სწავლებაზე გადასვლა არ გაგვჭირვებია. მიუხედავად იმისა რომ უჩვეულო გარემოში მოგვიწია სწავლის გაგრძელება, პედაგოგებმაც და სტუდენტებმაც სწრაფად აუღეს ალღო ახალ მოთხოვნებს. ამჟამად ყველა პრობლემასა და გამოწვევას წარმატებით გავუმკლავდით, ხოლო მომავალში დრო გვაჩვენებს როგორ უნდა წარიმართოს სწავლების პროცესი. ჩემი აზრით, ონლაინ განათლება არის მთელი მსოფლიოს მომავალი. განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორც არის ბიზნეს ადმინისტრირება, მარკეტინგი, ფინანსები და მენეჯმენტი. მომხრე ვარ, რომ პანდემიის შემდეგაც დარჩეს ჰიბრიდული სწავლება, როგორც - ონლაინ, ისე - პირისპირ.

**-რამდენად ძლიერია ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში პრაქტიკული მხარე? როგორ ზრუნავთ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებაზე?**

-ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის შვილები და გვიწევს იმ მაკრო ძალების გავლენის ქვეშ ყოფნა, რომელიც არსებობს ჩვენს გარშემო. ეს არის დემოგრაფია, ეკონომიკა და ზოგადად სოციალური გარემო. ისედაც რთული სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა პანდემიის გამო შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა. ბევრი კომპანია დაიხურა, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც პრაქტიკას გავდივართ ისევ ისე ,როგორც პანდემიამდე გავდიოდით.
.

გაგრძელება გვ.4

# ინტერვიუ თეა კბილცეცხლაშვილთან

ჯულია ჩირგაძე

დასაწყისი გვ.2

უფრო მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში,
გავაძლიეროთ სტუდენტების სოციალური აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა, ხელი შევუწყოთ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოვიზიდოთ მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი, დავამატოთ ახალი მოთხოვნადი პროგრამები.

**-რა იქნება თქვენი, როგორც უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის გზავნილი მომავალი სტუდენტებისთვის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ უნდა გააკეთონ არჩევანი აბიტურიენტებმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტზე?**

-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს 26 წლიანი გამოცდილება და განსაკუთრებული ადგილი უკავია საგანმანათლებლო ბაზარზე. აბიტურიენტებმა შზსუ-ზე არჩევანი უნდა გააკეთონ შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების ხანგრძლივი გამოცდილება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე - პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, რაც კურსდამთავრებულებს კონკურენტუნარიანს ხდის მარტივად დასაქმდნენ შრომის ბაზარზე და მოერგონ კომპანიებისა და დაწესებულებების თანამედროვე მოთხოვნებს; მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც სისტემატურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში, აქვეყნებს სტატიებს დარგის წამყვან ჟურნალებში და კონფერენციის მასალებში, სისტემატიურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში და უზიარებს სათანადო ცოდნას სტუდენტებს; ძლიერი საერთაშორისო კავშირები წამყვან უნივერსიტეტებთან; ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა; საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობები 50-ზე მეტ უნივერსიტეტთან; დაფინანსების ეფექტური და შეღავათიანი სისტემა: მრავალფეროვანი გრანტები; პრაქტიკული სწავლების ძლიერი კომპონენტი; სტუდენტებისა და პერსონალისათვის გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობები; პარტნიორ კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობა; სტუდენტებისთვის სტაჟირების გავლის ფართო შესაძლებლობები; სტუდენტური მრავალფეროვანი ცხოვრება და კლუბები; სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკულ კვლევით საქმიანობაში; დისტანციურ სწავლებაზე მოქნილად და ეფექტურად გადასვლის გამოცდილება.

დღევანდელი თანამედროვე განათლების სისტემა სტუდენტებს სთავაზობს მუდმივი განვითარების შესაძლებლობას; შრომა და ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლება დღევანდელ კონკურენტულ გარემოში პროფესიული განვითარებისა, დასაქმებისა და წინსვლისათვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ ვისურვებდი ამ გამოწვევებს დიდი შემართებით გამკლავებოდით, ვინაიდან დღევანდელ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი რაც შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს-ეს არის ცოდნა...

# „არასოდეს გაჩერდეთ, ვინ იცის, ხვალ რა სიურპრიზს გვიმზადებს სამყარო?“

## ამერიკანისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ქეთა ავაზაშვილი აშშ-ს საელჩოში დასაქმდა

თამთა მჭედლიშვილი



ქეთა ავაზაშვილი

ქეთა ავაზაშვილი 2015 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მისი არჩევანი ამერიკანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე შეჩერდა. ოთხწლიანმა დაუღალავმა შრომამ ქეთას წარმატება მოუტანა - დღეს კურსდამთავრებული საქართველოში აშშ საელჩოშია დასაქმებული. ამერიკა ბავშვობიდან ქეთას ოცნება იყო,აშშ-ს სახელმწიფო დროშა, როგორც პიროვნული და პროფესიული ზრდის მოტივატორი, მის ოთხაში წლებია, გამოფენილია. ამერიკანისტიკის პროგრამა იმიტომ აირჩია,რომ ამერიკული სწავლისა და მუშაობის სტილი ყოველთვის ხიბლავდა. მისთვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ინტერნაციონალურ ოჯახთან ასოცირდება, ეს არის უნივერსიტეტი, რომელსაც ჰყავს მაღალკვალიფიციური პროფესორები და ძლიერი, წარმატებული სტუდენტები. „უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის გვერდში მედგა, დარწმუნებული ვარ ასე უდგას გვერდით სხვა დანარჩენ სტუდენტებსა, თუ კურსდამთავრებულს, რაც ძალიან მახარებს“, ამბობს ჩვენთან საუბრისას ქეთა.

2015 წელს ქეთამ მონაწილეობა მიიღო ამერიკის საგარეო პოლიტიკის დისკუსიებში სხვადასხვა დიპლომატებთან ერთად. დიპლომატებთან შეხვედრის დროს სტუდენტები განიხილავდნენ აშშ-ს საგარეო ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნებთან. ქეთას პრეზენტაცია ამერიკა-კანადის ურთიერთობებს ეხებოდა. ქეთა იხსენებს, რომ ღონისძიება დასრულდა საქართველოში აშშ-ს მაშინდელი ელჩის, იან კელის საჯარო ლექციით, სადაც სტუდენტებთან ერთად ბევრი საინტერესო დეტალი იქნა განხილული.

2018 წელს ქეთა ავაზაშვილმა გაიარა სტაჟირება დაავადებათა კონტროლის ცენტრში. ამბობს, რომ ამ გზის გავლა რთული აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო სტრუქტურებში სტაჟირების გავლა იოლი არ არის. „მოხვედრა ადვილი სულაც არ იყო, მახსოვს სხვადასხვა დეპარტამენტში ვაგზავნიდი ჩემს CV-ებს, ბევრჯერ არ გამიმართლა“, იხსენებს ქეთა . მისი დაუღალავი შრომა და წარმატებისაკენ შეუჩერებელი სწრაფვა დაფასდა. უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში აშშ-ს საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების სამსახურში მუშაობს. **2021 წლის თებერვალში ქეთას ბენჯამენ ფრანკლინის საპატიო ჯილდო კეთილსინდისიერი მუშაობისთვის გადასცეს. ამბობს, რომ ეს ჯილდო მის პროფესიულ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელ და დაუვიწყარ რელიქვიად დარჩება.**

ქეთას ვთხოვეთ, მუშაობის დაწყების პირველ დღეებში მიღებული შთაბეჭდილება გაეზიარებინა. როგორც გვითხრა, სამსახურის პირველი დღე ბუნდოვნად ახსოვს, რადგან ძალიან ნერვიულობდა. თუმცა არასოდეს დაავიწყდება ის შეგრძნება, როდესაც უფროსმა უთხრა „ welcome on the board”/ „მოგესალმებით ხომალდზე“ . “მახსოვს სიხარულის ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, ბედნიერებისგან ვერც ვახერხებდი კონცერტრირებას და თანამშრომლების სახელების დამახსოვრებას. მთელი დღე მახსენდებოდა ყველა უარი და წარუმატებლობა, რაც კი წარსულში სამსახურის ძებნის პერიოდში განმიცდია, ვერ ვიჯერებდი, რომ შევძელი ამდენ ადამიანში ვყოფილიყავი ის ერთი, ვინც აირჩიეს!“, ამბობს ქეთა.

ქეთას პედაგოგის, ლელა აბდუშელიშვილის თქმით, ქეთა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მონდომებული და პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტი იყო. ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის გამო ინგლისურენოვანი პროგრამის საგნებს ალღო იოლად აუღო. ლელა აბდუშელიშვილი ვერ იხსენებს შემთხვევას, როცა ქეთა მოუმზადებელი ყოფილა. იგი სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართულ ყველა სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობდა, სხვადასხვა ღონისძიებებზე წამყვანისა და თანაწამყვანის როლსაც ხშირად ირგებდა. ლელა აბდუშელიშვილის აზრით, ასეთმა გამოცდილებამ ქეთას პროფესიულ წინსვლას, მის კონკურენტუნარიანობას ხელი დიდად შეუწყო.

„აშშ-სსაელჩოს მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელშიც ქეთა მონაწილეობდა, ურთულესი იყო, თუმცა ქეთამ თავი გაართვა და დასაქმდა. მე მას დასაქმებისათვის სწორედ ასეთ სფეროს ვურჩევდი. იმედი მაქვს, რომ IBSU -ში მიღებული ცოდნა, განათლება და გამოცდილება მას ცხოვრების ყველა ეტაპზე გამოადგება. ქეთას ერთი არაჩვეულებრივი თვისება აქვს - ბოლომდე გისმენს და შემდეგ აზრიან შეკითხვებს დაგისვამს, მას პროფესიული წინსვლისათვის საჭირო ყველა თვისება გააჩნია, ამიტომ მომავალში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს ვუწინასწარმეტყველებ“, გვითხრა ლელა აბდუშელიშვილმა

ქეთა ავაზაშვილის პროფესიული წარმატება სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თამარ შიოშვილს იმის კიდევ ერთ დასტურად მიაჩნია, რომ პროფესიის არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ინტერესს. ხშირია, როდესაც მშობლები ერევიან ბავშვების არჩევანში, რაც არასწორია, ახალგაზრდებს არჩევანის გაკეთებაში თავისუფლება უნდა მიეცეთ, მიაჩნია ფაკულტეტის დეკანს: „მეც მქონდა ასეთი პრობლემა ოჯახში,დედაჩემს უნდოდა სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამებარებინა, საბოლოოდ ჩემი და მამაჩემის ძალისხმევით ინგლისურ ფილოლოგიას დავეუფლე, შემდეგ ამერიკანისტიკის ინგლისურენოვანი პროგრამაც დავაფუძნე. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ , რადგან ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. **სპეციალობა მოდის გამო არ უნდა აირჩიო, შენს გულს უნდა უსმინო და ის უნდა აირჩიო, რაც გაინტერესებს.“**



თამარ შიოშვილი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი

თამარ შიოშვილი იხსენებს უნივერსიტეტში აშშ-ს ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენლის სტუმრობას. „ქეთამ ამ შეხვედრისა და სტუმრის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოხატა, ბევრი კითხვა დასვა, აღმოჩნდა, რომ ფედერალური გამოძიების ბიუროში სტაჟირების გავლაზე ოცნებობდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაიწყო სამსახურის ძიება, სხვადასხვა ადგილას სტაჟირებები გაიარა. აშშ-ს საელჩოში დასასაქმებლად სამი დიდი და რთული ეტაპი გაიარა. ჯერ სტაჟიორის კონკურსის გავლა მოუხდა, ზოგადად, საელჩოში სტაჟირების პროგრამებზე სტუდენტებს მხოლოდ ერთი სემესტრით ტოვებენ, თუმცა ქეთა იმდენად მოეწონათ, მეორე სემესტრითაც დაიტოვეს. ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ გამოჩნდა ვაკანსია უსაფრთხოების დეპარტამენტში, მან შეიტანა განაცხადი, შემდეგ იყო ურთულესი ეტაპები, რომლებიც ქეთამ გაიარა. ბოლოს მითხრა, რომ მისი კანდიდატურის დამტკიცების პროცესი იმდენად გაჭიანურდა, რომ დასაქმების იმედიც გადაეწურა“, გვითხრა თამარ შიოშვილმა. თუმცა, ქეთა დასაქმდა, დღეს კი პედაგოგები მის წარმატებას ამერიკანისტიკის საბაკალავრო პროგრამის წარმატებად მიიჩნევენ და ამით ძალიან ამაყობენ.

თამარ შიოშვილის თქმით, ამერიკანისტიკის პროგრამამ ქეთას ბევრი რამ მისცა, მას რომ არ გაევლო მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული კულტურა, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სპეციალობა, გაუჭირდებოდა დამსაქმებლის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაძლევა. თამარ შიოშვილი: „ **ქეთა ყველა ეტაპს მომზადებული რომ შეხვდა, ჩვენი უნივერსიტეტის დამსახურებაცაა... შავი ზღვის უნივერსიტეტი განსხვავებული სისტემის მქონე უნივერსიტეტია. ის დასავლურ განათლებას აძლევს სტუდენტებს. მშობლიური მიდგომა გვაქვს, ყველა სტუდენტს დიდი ყურადღებით ვექცევით, ყველა სტუდენტის ბედი გვაღელვებს. ჩვენს უნივერსიტეტში პროგრამების უმრავლესობა ინგლისურენოვანია. მაქვს რამდენიმე უნივერსიტეტში მუშაობის გამოცდილება, მაგრამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ყველაზე განსხვავებულია თავისი სწავლების მიდგომით და სტუდენტებთან დამოკიდებულებით. გვაქვს ბევრი სპორტული და გასართობი კლუბი, ეწყობა პიკნიკები, ექსკურსიები და სხვადასხვა ღონისძიებები. ამის გამო სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და სასიამოვნოა**“, გვითხრა ფაკულტეტის დეკანმა.

ქეთა ავაზაშვილს ახლა სხვა მიზნები აქვს, მისი ყველაზე დიდი ოცნება ამერიკის დიდ საგამოძიებო სტრუქტურებში მუშაობაა. აპირებს, რომ განათლება სისხლის სამართლის მიმართულებით გააგრძელოს. სტუდენტებთან ქეთას ასეთი რჩევა აქვს: „არასოდეს შეუშინდნენ დაბრკოლებებს, ცხოვრება სასწაულებითაა სავსე. დიდი შრომა ფასდება. გულით ჩაფიქრებული სურვილები კი, ყოველთვის სრულდება, ამიტომ არასოდეს გაჩერდნენ, ვინ იცის ხვალ რა სიურპრიზს გვიმზადებს სამყარო?

# „ციფრული ტექნოლოგიები მარკეტინგის მომავალია“ - ინტერვიუ პროფესორ კახაბერ ჯაყელთან

ნინო დოლიძე

დასაწყისი გვ.3

(კახაბერ ჯაყელი:) ..სტუდენტები მიმაგრებული არიან კომპანიებთან, მათ ეძლევათ საშუალება ისწავლონ რა კეთდება კომპანიებში. ამჯერად ვართ მართლაც ორიენტირებული პრაქტიკული ხასიათის ლექციებზე პრაქტიკულ გარკვეულ თამაშებზე, რომელშიც პრაქტიკული მხარე უფრო მეტად ჩანს ვიდრე თეორიული. შესაბამისად ორიენტირებას ვუკეთებთ სტუდნტებს, რომ ისინი იყვნენ სხვადასხვა კონკურენციაში ჩართული. ახლა მაგალითად ვატარებს მარკეტინგის ესეების ოლომპიადას, რომელშიც სტუდენტები არიან ჩართული. მინდა ავღნიშნო ისიც ,რომ ჩვენი სტუდენტები მონაწილეობენ ჰარვარდის ქეისების (პრეცენდენტების) კონკურენციაში. სწავლების დროს შემთხვევათა ანალიზის მეთოდის ინტენსიურად გამოყენება აძლიერებს პრაქტიკულ მხარეს.

**-როგორ ფიქრობთ, რა არის ის გამოწვევები, რაც დღესდღეობით ბიზნესისა და ფინანსების, მარკეტინგის სწავლების წინაშე დგას? როგორ უმკლავდება ფაკულტეტი ამ გამოწვევებს?**

-ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის მეცნიერება . განვითარებულ ქვეყნებში ბიზნეს-განათლება ვითარდება ინოვაციური კუთხით . 2019 წელს მე და ჩემი სტუდენტები ვიყავით მიწვეული კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში MBA განათლების კონგრესზე და იქ ვნახეთ, რომ ხე-



ლოვნული ინტელექტი ინტენსიურად გამოიყენება ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში. ეს არის დღევანდელი დღის გამოწვევა, ანუ გამოწვევა არის უფრო მეტი ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების უფრო მძლავრად გამოყენება მარკეტინგულ საქმიანობაში . სტუდენტების მარკეტინგული, საფინანსო, თუ საბუღალტრო უნარები.

**-ძირითადად სად საქმდებიან ბიზნესისა და მარკეტინგის პროგრამების კურსდამთავრებულები?**

-დამსაქმებლებს მოსწონთ ჩვენი სტუდენტების მარკეტინგული, საფინანსო, თუ საბუღალტრო უნარები. სტუდენდები ამჯერად დასაქმებულნი არიან დიდ კომპანიებში („გორგია“, „თეგეტა მოტორსი“, საბანკო სექტორში...) . ხშირად ვხვდები მათ სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიებსა და საერთაშორისო კომპანიებში, სადაც ისინი ძალიან კარგად და ნაყოფიერად მუშაობენ .

**-დაბოლოს, რა რჩევას მისცემდით იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურთ სამომავლო პროფესიად ბიზნესი, მარკეტინგი, ფინანსები და სხვა მონათესავე სპეციალობები აირჩიონ?**

-ეს სპეცილობები ერთ-ერთი წამყვანი სპეციალობებია .ძალიან ამართლებს მარკეტინგის მენეჯმენტისა და ფინანსების შესწავლა, დღეს საქართველოში 100 000 ზე მეტი კომპანიაა, თუმცა ამდენი მარკეტოლოგი ნამდვილად არ გვყავს .მინდა სტუდენტებმა იცოდნენ ,რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა მარკეტინგზე. ამიტომ მათ უნდა საფუძვლიანად ისწავლონ ის სავალდებულო საგნები, რომლებსაც პროგრამების მიხედვით გადიან. გარდა ამისა, უნდა წერონ ბევრი და მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სპეციალურ ოლიმპიადებში, მოაგროვონ კვალიფიკაციის ამაღლების დამდასტურებელი დოკუმენტები - ეს არის დასაქმებისაკენ მიმავალი სწორი გზა.

# სამართლის ფაკულტეტი პანდემიის პერიოდში

ავთანდილ ზარნაძე,
მაგდა მუმლაძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სტუდენტები თეორიული კურსების შესწავლის პარალელურად პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ. ფაკულტეტზე მოქმედ იურიდიულ კლინიკაში მომავალი იურისტები, მენტორის მეთვალყურეობით, მიმდინარე სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობენ. ფაკულტეტზე ტარდება კურიკულუმისგარე მრავალფეროვანი აქტივობები - საჯარო ლექციები, უცხოელი ექსპერტების მასტერკლასები, ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო პროექტები. მუშაობის ტრადიციული სტილი ფაკულტეტმა დისტანციური სწავლების დროსაც შეინარჩუნა.

**იურიდიული კლინიკა**

კლინიკის საქმიანობას უძღვებიან მოქმედი ადვოკატები. მათი მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. იურიდიული კლინიკა აქტიურად თანამშრომლობს სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, სამთავრობო სტრუქტურებსა და კერძო ორგანიზაციებთან. სტუდენტებს უწევთ კომპლექსური ხასიათის ღონისძიებების გატარება რეალურ,მიმდინარე საქმეებზე, კერძოდ: საპროცესო დოკუმენტაციის წარმოება, სამართლებრივი დასკვნების, სტრატეგიების და რეკომენდაციების შემუშავება, სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკის ანალიზი, კლიენტების წერილობითი კონსულტაცია და ა.შ. ამ ტიპის საქმიანობა სტუდენტებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების მეტად განვითარებაში ეხმარება.

სამართლის ფაკულტეტის დეკან ეკატერინე ბაკარაძეს მიაჩნია, რომ იურიდიული კლინიკის საქმიაობას მოქალაქეებისათვის რეალური სარგებელი მოაქვს. „იურიდიული და სამართლებრივი კონსულტაციის მისაღებად მოქალაქეები მუდმივად გვიკავშირდებიან. მენტორების ზედამხედველობით სტუდენტები მოქალაქეებს სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი ამოცანების მოგვარებაში ეხმარებიან", გვითხრა ეკატერინე ბაკარაძემ .

იურიდიული კლინიკის ადვოკატის გოგა კიკილაშვილის თქმით, კლინიკის ფარგლებში განვითარებული უნარები და დაგროვილი გამოცდილება დიდწილად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე, დასაქმების ბაზარზე კონცენტრირებული სამართლის ახალი კურსდამთავრებულიდან ბევრს არ აქვს სამუშაო გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები". აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ნაწილი კლინიკის სასწავლო კომპონენტის გავლის პერიოდშივე, ან სწავლის დასრულებიდან მოკლე დროში საქმდება როგორც კლინიკის პარტნიორ, ისე - სხვადასხვა დაწესებულებაში.

ეპიდვითარებიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტიდან სამართლის კლინიკა დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევას.

**გიორგი შალამბერიძემ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ორი წლის წინ დაამთავრა, როგორც ამბობს, მიღებული ცოდნით ერთ-ერთ წამყვან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კროს კრედიტ"-ში უფროსი იურისტის პოზიციაზე მუშაობის დაწყება შეძლო: „უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საადვოკატო გამოცდები ჩავაბარე. მიმაჩნია, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გავლილი საგნები სრულად მოიცავს საადვოკატო გამოცდის პროგრამის მასალებს. ფაკულტეტზე მიღებული ცოდნის საფუძველზე ადვოკატის გამოცდაში საკმაოდ მაღალი, 93 ქულა ავიღე. არანაირი დამატებითი მომზადება არ დამჭირვებია".**

როგორც გიორგიმ აგვიხსნა, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები პროფესიაში შესვლისთვის აუცილებელი პირველი საფეხურია. გამოცდა შედგება კაზუსის ტიპის 100 დავალებისგან, გამოცდის მაქსიმალური დრო 6 საათია, ბარიერის გადასალახად კი - 75 ქულაა საჭირო. ადვოკატის ლიცენზიის მოპოვების მომდევნო ეტაპზე სამთვიანი თეორიული, ხოლო მენტორ ადვოკატთან ცხრათვიანი სტაჟირების კურსების გავლაა საჭირო. ადვოკატის ლიცენზიის ქონა სრულფასოვანი საადვოკატო საქმიანობის დაწყების აუცილებელი




პირობაა, რადგან არალიცენზირებული იურისტები სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში კლიენტების ინტერესებს ვერ დაიცავენ.

**საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და უცხოელი პროფესორები**

სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს (სხვა ფაკულტეტების სტუდენტების მსგავსად) შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ IBSU -ს პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებულ გაცვლით პროგრამებში. **2020 წლის შემოდგომის სემესტრში სამართლის ფაკულტეტის მეოთხე კურსელები - გიორგი თიკანაძე და ნინი მაჭარაშვილი - გაცვლითი პროგრამით პოლონეთის კოზმინსკის უნივერსიტეტის სასწავლო კურსებს დისტანციურად დაესწრნენ. პანდემიამდე ამავე ქვეყანაში, ლოძის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრი გაატარა სამართლის ფაკულტეტის ახლა უკვე კურსდამთავრებულმა თეონა ხაჩიურმა. „მეოთხე კურსის პირველ სემესტრში 4 თვე გავატარე ლოძის უნივერსიტეტში. ეს 4 თვე იყო საუკეთესო, ბედნიერი, წარმატებული და ნაყოფიერი. ლოძის უნივერსიტეტი სამართლის მიმართულებით მესამე ადგილს იკავებს ევროპაში და ყოველწლიურად 800 სტუდენტს იღებს".**

ეკატერინე ბაკარაძე: „პროგრამაში გვაქვს გათვალისწინებული 20 თავისუფალი კრედიტი და სტუდენტები საზღვარგარეთ სწავლისას სწორედ ამ კრედიტებს იყენებენ, 20 კრედიტს ზემოთ აღებული კურსების თანხას გაცვლითი პროგრამით წასულ სტუდენტს უნივერსიტეტი არ ახდევინებს. მიუხედავად პანდემიისა, ჩვენმა სტუდენტებმა მაინც შეძლეს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. 2021 წლის საზაფხულო სკოლაში კოზმინსკის უნივერსიტეტმა IBSU-ს სამართალმცოდნეობის კიდევ 4 სტუდენტისთვის გამოჰყო ადგილები. ჩვენი სტუდენტები შეისწავლიან კურსებს ევროკავშირის სამართლის მიმართულებით ".

**როგორც ფაკულტეტის ადმნისტრაციის თანამშრომლებმა აგვიხსნეს, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ლექტორთა მრავალფეროვანი ადამიანური რესურსია ჩართული: თეორეტიკოსები, პრაქტიკოსი იურისტები, ადვოკატები, მოსამართლეები, პროკურორები, ნოტარიუსები, რიგ შემთხვევებში კანონმდებლობის ავტორებიც კი. ბევრ სასწავლო პროგრამაში ჩაშენებულია ინგლისურენოვანი კომპონენტი. სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში უცხოენოვანი სასწავლო კურსები იკითხება ინგლისურად და, რაც მთავარია, ამ კურსებს ასწავლიან უცხოელი კოლეგები, ამერიკიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან. ეკატერინე ბაკარაძის თქმით: „წელიწადში, სულ ცოტა, 3-4 უცხოელი ლექტორი ჩამოდის, მაგალითად, საერთაშორისო ბიზნეს სამართლის მიმართულებით ლატვიელმა პროფესორმა უკვე ჩაატარა ლექციები როგორც სტუდენტებისთვის, ასევე - პერსონალისთვის, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა ანდრეა ბორონიმ საერთაშორისო ბიზნეს სამართლის მიმართულებით ლექციების ინტენსიური კურსი ჩაატარა. "**

ეკატერინე ბაკარაძის თქმით, სამართლის ფაკულტეტი უკვე წლებია ახორციელებს საერთაშორისო პროექტს - street law-ს, რომელიც აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში დაფუძნებული იმავე სახელწოდების პროექტის ანალოგია. პროექტის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საზოგადოების არაიურისტ წევრებს, მაგალითად, სკოლის მოსწავლეებს, სამართლის საფუძვლებს სახალისოდ, მარტივ და გასაგებ ენაზე ასწავლიან. ამ გზით, ერთის მხრივ, კონკრეტული სამიზნე ჯგუფი იმაღლებს ცნობიერებას აქტუალური სამართლებრივი საკითხის შესახებ, მეორე მხრივ კი,სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს უძლიერდებათ სხვადასხვა უნარი, მაგალითად, საჯარო გამოსვლის, პრეზენტაციის, აუდიტორიის ფლობის, ცოდნის გაზიარების.

თეონა ხაჩიურმა სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა 2019 წელს დაამთავრა. თეონა იხსენებს, რომ საჯარო ლექციები, სასერთიფიკატო ტრენინგ კურსები ხშირად იმართებოდა უნივერსიტეტში: „მე პირადად ყველა საჯარო ლექციას ვესწრებოდი და სასერტიფიკატო კურსებს, ვიყენებდი თავისუფალ კრედიტებს. მახსენდება ერთი ასეთი კურსი - ტომ ჯერსილდის ხელმძღვანელობით, მან დაგვირიგა აშშ-ის კონსტიტუციის პატარა წიგნაკები და გვითხრა, რომ ამერიკაში ამას ყველა იურისტი სტუდენტი ჯიბით ატარებსო". იყვნენ მოწვეული პროფესორები ამსტერდამიდან - ტაბითა ვან დენ ბერგი, იტალიიდან რაფაელა მარია ფილერი მედიაციის თემაზე, რომელიც ძალიან საინტერესო იყო. ასევე მახსენდება ლექციები საერთაშორისო ბიზნეს-სამართლის შესახებ, ამ და მსგავსი პროექტების დახმარებით ვიღრმავებდით ცოდნას სამართლის სხვადასხვა საკითხის შესახებ".

სამართლის ფაკულტეტი, უნივერსიტეტის რექტორის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს საერთაშორისო სამართლებრივი ინგლისურის - TOLES (the tests of legal English skills)-ის გამოცდას, რომელიც იურისტებისათვის ბევრ საერთაშორისო პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. ფაქტობრივად, სამართალმცოდნეობის პროგრამის ყველა სტუდენტი სწავლობს TOLES-ს და ბევრი აბარებს კიდეც საერთაშორისო გამოცდას.

„აღსანიშნავია, რომ სამართლის ფაკულტეტი, ფაქტობრივად, ექსკლუზიურად ატარებს ამ გამოცდას საქართველოში, რომელიც უვადოა, და სტუდენტებს ეხმარება კარიერულ განვითარებაში", ამბობს ეკატერინე ბაკარაძე

მემორანდუმის ფარგლებში თითქმის ყოველ ზაფხულს 10 სტუდენტი მონაწილეობს გაეროს მიერ ორგანიზებულ ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულში. ეს არის უკონკურენტო პროექტი, რომელშიც, გაეროს სხვა 192 წევრი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოდან მხოლოდ IBSU -ს სტუდენტები მონაწილეობენ. ყოველწლიურად ეს ორგანიზაცია ეხმიანება იმ უფლებას, რომელიც ყველაზე მეტად დაირღვა და სტუდენტები წარადგენენ თავიანთ სიტყვას ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით.

თეონა ხაჩიური: „დეკანის ორგანიზებით ვიყავით ადამიანის უფლებათა დაცვის მე- 12 საერთაშორისო კონფერენციაზე ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში. ოთხდღიანი, ძალიან საინტერესო კონფერენცია იყო,. თოთოეულ დელეგატს საკუთარი სიტყვა ჰქონდა მომზადებული. გაიმართა საჯარო გამოსვლები და განხილვები, გავიცანით ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტი. გვქონდა ექსკურსია ნიაგარაზე, ყოველთვის კარგად გამახსენდება ეს შესაძლებლობა, რომელიც უნივერსიტეტმა მოგვცა". თეონას თქმით, ამავე ვიზიტის ფარგლებში სამართლის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა ვაშინგტონში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კამპუსი მოინახულეს, იყვნენ პენსილვანიაში და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდნენ საქართველოში.

სამართლის ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები ევროკავშირის სტრუქტურებსაც სტუმრობენ. ეკატერინე ბაკარაძის თქმით, ამ ვიზიტებისას სტუდენტებს ევროსასამართლოსა და სხვა ევროპული სტრუქტურების მუშაობაზე უშუალო დაკვირვების საშულება ეძლევათ. **მეორე კურსის სტუდენტი გვანცა იჩქითი: „სასიამოვნოდ მახსენდება 2020 წლის თებერვალში სტრასბურგში ორგანიზებული ვიზიტი. დაახლოებით 35 სტუდენტს და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წევრებს შესაძლებლობა გვქონდა მოგვენახულებინა ევროსტრუქტურები. პროექტისათვის საჭირო თანხის ნაწილი უნივერსიტეტმა დაგვიფინანსა".**




**პანდემიის დროს**

მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, ფაკულტეტმა დიდი გამოცდილება მიიღო. თავიდან მსგავსი ფორმატი უცხო იყო და სტუდენტებს არ ჰქონდათ გამოცდილება, თუ როგორ უნდა წარმართულიყო სალექციო პროცესი დისტანციურად. სამართლის რამდენიმე სტუდენტს არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან და ამის გამო რთული იყო შეუფერხებლად დასწრებოდნენ ლექციებს, რის გამოც ლექტორებს ჰქონდათ ვალდებულება, რომ გაეკეთებინათ ლექციის ჩანაწერები, რათა სტუდენტებს შემდგომ შეძლებოდათ ლექციის ჩანაწერის ყურება. ასევე,იყო პრობლება ბიბლიოთეკის გამოყენების მხრივ, თუმცა ადმინისტრაციამ ეს პრობლემაც, ვიცე რექტორის - პროფესორ თეა კბილცეცხლაშვილის დახმარებით, მოაგვარა და გაიცა უფლება, საჭირო მასალები სტუდენტებისთვის ელექტრონულად მოეწოდებინათ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის რექტორის დოქტ. საფფეთ ბაირაქთუთანის მიმდინარე პანდემიასთან დაკავშირებით დროული რეაგირება. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე დაიგეგმა აკადემიური საბჭოს შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც დეტალურად იქნა განხილული დისტანციური სასწავლო პროცესი, რის შესახებაც დროულად ეცნობათ როგორც ლექტორებს, ასევე - სტუდენტებს და მათთვის შეიქმნა ყველა საჭირო პირობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და სრულყოფილად განხორციელებისათვის. დისტანციურ ფორმატზე გადასვლის შემდეგაც ფაკულტეტზე სხვადასხვა ტიპის დამატებითი აქტივობები არ შეწყვეტილა. **სამართლის ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერი, მარიამ ჯვებენავა, ამბობს, რომ მესამე კურსელებმა გაუწიეს ორგანიზება ტრენინგს, სადაც მიმოიხილეს საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი ასპექტები: „პანდეემიის პერიოდში 20-მდე საჯარო ლექცია გვაქვს ჩატარებული, ასევე კონფერენციები და ვებინარები. ჩვენ სტუდენტებს ხელს ვუწყობთ და ყოველთვის ვაცნობთ მათ გაცვლითი პროგრამების შესახებ. ფაკულტეტის აქტივობებში მონაწილე სტუდენტებზე გავცემთ სერტიფიკატებს."**




გაგრძელება გვ.6

## IBSU და ტელეკომპანია “ახალი” მემორანდუმს აფორმებენ



2021 წლის 21 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ტელეკომპანია ახალს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების თანახმად, **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ტელეკომპანია ახალში პროფესიული პრაქტიკა გაიარონ.**



## IBSU-მ აბრეშუმის გზის მე-15 საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართა აბრეშუმის გზის მე-15 საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა. კონფერენციის ფარგლებში თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი იდეები გააზიარეს პოლიტიკის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის, სახელმწიფო მმართველობის, სამართლის, ბიზნესის და ტექნოლოგიების სფეროების წამყვანმა ექსპერტებმა. კონფერენციამ მონაწილეებს მისცა გლობალურ და რეგიონალურ მოვლენებზე თუ პრობლემებზე დისკუსიის წარმოების უნიკალური შესაძლებლობა.




# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს თვითმმართველობის ახალი გუნდი ჰყავს

*ლიკა ბახუტაშვილი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები წელს, ეპიდვითარებიდან გამომდინარე, დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა. გუნდებმა საკუთარი კანდიდატურა ონლაინ წარადგინეს, 20 აპრილს დანიშნული არჩევნებისას საარჩევნო ბიულეტენის ფუნქცია კი „გუგლის“ გამოკითხვის სპეციალურ ფორმას დაეკისრა. **თვითმმართველობის პრეზიდენტობის სურვილი ორმა კანდიდატმა გამოთქვა, ერთი ოთო ბარათელი იყო, მეორე კი - ბექა რაზმაძე. მაღალი კონკურენციის პირობებში, ხმები 548 / 499 გადანაწილდა დ,ა სულ რაღაც 49 ხმის უპირატესობით, თვითმმართველობის პრეზიდენტი, ერთი წლის ვადით, ბექა რაზმაძე, ვიცე-პრეზიდენტი კი - დაჩი გეთია, გახდა. მიუხედავად არჩევნების უჩვეულო ფორმატისა, სტუდენტების ჩართულობა, სხვა წლებთან შედარებით, ბევრად მაღალი იყო. საერთო ჯამში, არჩევნებში მონაწილეობა 1000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო და 1 წლის ვადით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თვითმმართველობის ახალი გუნდი აირჩია.**

ვინ არიან შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თვითმმართველობის ახალი გუნდის წევრები? რა არის მათი მიზნები და პრიორიტეტები? - ამის შესახებ ახალარჩეული თვითმმართველობის პრეზიდენტი და მისი გუნდის წევრები გვესაუბრებიან.

### თვითმმართველობის პრეზიდენტი

„წელს უპრეცედენტო წელი გახლდათ, რადგან პირველად ჩატარდა ონლაინ არჩევნები. ამის მიუხედავად, ყველა წესი იყო დაცული და არანაირ გადაცდომას არ ჰქონია“, განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბექა რაზმაძემ.



თვითმმართველობის პრიორიტეტებსა და მუშაობის პრინციპის შესახებ იგი ასეთ კომენტარს აკეთებს: **„დეპარტამენტებად გვაქვს დაყოფილი თვითმმართელობა, რათა ყველამ აკეთოს ის საქმე, რომელიც მოსწონს. კონკრეტულ პროგრამას, რომელიც სტუდენტებს გავაცანით, რა თქმა უნდა, ბოლომდე შევასრულებთ. მთელი წლის გეგმა წინასწარ არ გვაქვს გაწერილი. ყოველ კვირა გვაქვს შეხვედრები და ამის მიხედვით ვწყვეტთ,შემდეგ კვირას, ან თვეს რა დავგეგმოთ“.**

ბექა ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე კურსის სტუდენტი და თვითმმართველობის გუნდის აქტიური წევრია. იგი ფიქრობს, რომ საკმარისი გამოცდილება და მონდომება აქვს, რათა მიაღწიოს მთავარ მიზანს - სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას.

### ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დელეგატი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ დოდონა ნამორაძეს, ძირითადი პროფესიის გარდა, არაერთი გატაცება აქვს. იგი პიანისტი, მომღერალი და ყოფილი სპორტსმენიცაა. აპრილში გამართულ თვითმმართველობის არჩევნები, დოდონას შეფასებით, ჯანსაღ კონკურენციის გარემოში წარიმართა. მისი თქმით, არჩევნების ჩვეული დაძაბულობისა და კონკურენტული გარემოს მიუხედავად, ოპონენტ გუნდთან მეგობრული დამოკიდებულების შენარჩუნება მოხერხდა. თავის გუნდთან ერთად დოდონა მრავალ სიახლეს გვპირდება: დაწყებული



სახალისო თამაშებიდან, დამთავრებული ინტერაქციული ღონისძიებებითა და მოწვეული სპიკერებით. „წელს, როდესაც ბექა რაზმაძე დამიკავშირდა და შემომთავაზა დელეგატობა, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ, რადგანაც **კიდევ 2 წელი მომიწევს უნივერსიტეტში ყოფნა, კარგი იქნებოდა, რომ გამეუმჯობესებინა არამხოლოდ უნივერსიტეტის სწავლის ხარისხი, არამედ სოციალური ცხოვრების ხარისხიც. დამეცვა სტუდენტების უფლებები, გამეკონტროლებინა ადმინისტრაციის საქმიანობა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სტუდენტების სწავლების დონის შენარჩუნება და განვითარებაა, ამასთან ერთად, სოციალური ცხოვრებაც უნდა გავააქტიუროთ, რათა წლების შემდეგ სასიამოვნოდ გაგვახსენდეს უნივერსიტეტში გატარებული დრო.“.** დოდონა იმედს იტოვებს, რომ თავის გუნდთან ერთად სტუდენტურ ცხოვრებას გაუმრავალფეროვნებს და არაერთ სასარგებლო ცვლილებას განახორციელებს.

### სამართლის ფაკულტეტის დელეგატი



19 წლის ნინო ხაზიური შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. იგი უნივერსიტეტში ჩაბარებიდან რამდენიმე კვირაში გახდა თვითმმართველობის წევრი და მას შემდეგ აქტიურადაა ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში. მომავლის გეგმებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მისი მთავარი მიზანი მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვაა, რომლებიც სტუდენტების პროფესიული თუ არაპროფესიული კუთხით განვითარებას შეუწყობს ხელს. **„პირველ რიგში, უდიდეს მადლობას გადავუხდი სტუდენტებს, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს. დიდი პატივი და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა, ვიყო მათი წარმომადგენელი და უფლებადამცველი თვითმმართველობაში. მინდა,მომავალი ერთი წელი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენოთ. იგეგმება არაერთი პროექტი, რომელიც სტუდენტების პიროვნულ და კარიერულ განვითარებაზეა ორიენტირებული. მე, როგორც სამართლის დელეგატი,ვეცდები სტუდენტებისთვის სამართლიანი სასწავლო სივრცის შექმნა უზრუნველვყო და დავიცვა მათი უფლებები“,** გვითხრა ნინო ხაზიურმა. იგი ეთანხმება უნივერსიტეტის პრიორიტეტს - ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობას და სჯერა, რომ ერთიანი ძალისხმევითა და შრომით ამ მიზნის მიღწევას შეძლებს.

### სოცილურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დელეგატი

ფაკულტეტის დელეგატი თამუნა მანველიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტია. პანდემიით გამოწვეულ სოციალური ცხოვრების დანაკლისს იგი სხვადასხვა პროექტებითა და სტაჟირებებით ივსებს და იმედოვნებს, რომ მომავალ სემესტრში მაინც დაუბრუნდება კამპუსს და ახლოს გაიცნობს სტუდენტებს,რომელთაც ნდობა გამოუცხადეს. საუბრისას თამუნა მანველიშვილმა სამომავლო გეგმები გაგვიზიარა: **„მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გავხდი დელეგატი,მუდმივად ვესწრები ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს,სადაც განიხილება სხვადასხვა საკითხები და სტუდენტების პრობლემები. ამ სხდომამ მიმახვედრა, რომ სტუდენტების ხმა მართლა დიდი ძალაა და მე ამას გამოვიყენებ მათ სასარგებლოდ. ვაპირებ, რეგულარულად ვიკვლიო მათი სტუდენტური, აკადემიური თუ გარეშე პრობლემები და ინტერესები. მაქვს სურვილი, ჩვენი ფაკულტეტისთვის დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროფესიული უნარების განმავითარებელი სასერთიფიკატო კურსები. მეტი და მეტი შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ სტუდენტებს“.**



თამუნა სტუდენტებს მოუწოდებს, ნებისმიერი ინიციატივის, პრობლემის შემთხვევაში დაუკავშირდნენ, მათი აზრი ყურადღების მიღმა არავითარ შემთხვევაში არ დარჩება.

თვითმმართველობის არჩევნების თანმხლები კონკურენტული გარემო ჩაწყნარდა. ახალი გუნდი,რომელიც ამ საგაზეთო მასალაში გაგაცანით,წელს სასიამოვნო და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას გვპირდება. ისღა დაგვრჩენია, თვალი ვადევნოთ, როგორ შეასრულებენ ისინი დასახულ ამოცანებს.

# სამართლის ფაკულტეტი პანდემიის პერიოდში

*ავთანდილ ზარნაძე,*
*მაგდა მუმლაძე*

*დასაწყისი გვ.5*

„მედიის სამართლებრივი რეგულირება“, „კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინი“, „სასამართლო ხელისუფლება საქართველოში-არსებული გამოწვევები და გამოსავლის გზები“ „საჯარო ლექცია-საერთაშორისო დაცვის



მქონე პირთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები“, „პროფესიული ეთიკის გავლენა ადვოკატის საქმიანობაზე“, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია“ - ეს სამართლის ფაკულტეტის საჯარო ლექციებზე განხილული თემების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. კურიკულუმგარე ღონისძიებებში , ტრენინგები იქნება, თუ საჯარო ლექციები, სხვა უნივერსიტეტის სტუდენტებიც ერთვებიან. სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, რომლებიც ტარდება ინგლისურად- წინა სემესტრში სამართლის ფაკულტეტის გუნდი საქართველოს სახელით მონაწილეობას იღებდა მილანში გამართულ იმიტირებულ სასამართლო პროცესზე.

ეკატერინე ბაკარაძე: **„პანდემიის პირობებში საზღვარგრეთ ვიზიტები შეგვეზღუდა, თუმცა სხვადასხვა აქტივობები დისტანციურ რეჟიმში მაინც ტარდება და სამომავლოდაც დაგეგმილი გვაქვს. ამ ეტაპზე, ფაკულტეტს, ევროპული სამართლის ფაკულტეტების ასოციაცია ELFA - სთან ერთად გამიზნული აქვს ორენოვანი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის - „სისხლის სამართლის თანამედროვე გამოწვევები“-ს ჩატარება. სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი ნაშრომები წარმოადგინონ ქართულად და ინგლისურად. საუკეთესო კვლევებს კი ფაკულტეტი ბეჭდავს ორენოვან ჟურნალში - „თანამედროვე სამართლის ჟურნალი“.**

ივნისის ბოლოს სამართლის ფაკულტეტზე გაიმართა ტრადიციული საფაკულტეტო ღონისძიება -სისხლის სამართლის კვირეული, რომლის ფარგლებში ლექციები ჩაატარეს როგორც ქართველმა, ასევე - უცხოელმა სისხლის სამართლის სპეციალისტებმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა.

ჯერჯერობით უცნობია უმაღლესი სასწავლებლები 2021-2022 სასწავლო წელს დისტანციურ რეჟიმში დაიწყებენ, თუ სწავლას ჰიბრიდულად, ან საუნივერსიტეტო ფორმატში გააგრძელებენ. თუმცა, როგორი ფორმატიც არ უნდა იქნას შერჩეული, სამართლის ფაკულტეტი მუშაობის ჩვეულ რიტმს შეინარჩუნებს.

# ისწავლე თავად და ასწავლე სხვას - ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტები „ბიზნესის ანბანის“ სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან

ანო ტვილდიანი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტები 2014 წლიდან მონაწილეობენ უკვე ტრადიციად ქცეულ პროექტ „ბიზნესის ანბანში“. პროექტის მთავარი მიზანი სკოლის მოსაწავლეებისათვის ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიისა და ტურიზმის საფუძვლების სახალისოდ სწავლებაა, მასწავლებლების როლი ამ შემთხვევაში სტუდენტებს აქვთ მორგებული. ტრენინგი ოთხი დღის განმავლობაში გრძელდება, შემდეგ კი მონაწილეები ადგენენ მცირე ბიზნეს -გეგმას. იდეები ერთობლივი მუშაობის პროცესში იბადება და, შესაბამისად, მასალები, სლაიდები, პრაქტიკული სამუშაოები, გრაფიკი განახლებადია. პროექტში ჩართული სტუდენტები ჩვენთან საუბრისას აღნიშნავენ, რომ მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი პროექტის ბოლო ეტაპია, როცა მონაწილეების მიერ ანონიმურად დაწერილ ბარათებს ეცნობიან. ბარათებში გადმოცემულია სკოლის მოსწავლეების ის შთაბეჭდილებები, ემოციები და განცდები,რომლებიც მათ ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარე „ბიზნესის ანბანის“ გავლისას დააგროვეს.

„ჩვენი ფაკულტეტის პროგრამების და სწავლის მაღალი ხარისხი განპირობებულია იმით, რომ ჩვენთან ასწავლიან მაღალი კლასის ადგილობრივი და უცხოელი პროფესორები, ასევე წამყვანი კომპანიებიდან მოწვეული პრაქტიკოსი ლექტორები. გარდა მაღალი ხარისხის სწავლისა, ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს დატვირთულ და საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას, რომელიც გაჯერებულია სახალისო შეჯიბრებებით, სოციალური პროექტებით, საჯარო ლექციებით, მრგვალი მაგიდის დისკუსიებით და სხვადასხვა სოციალური სტუდენტური კლუბებით, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ბიზნეს -კლუბს,“ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანმა , ასოც.პროფესორმა ილია ბოცვაძემ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ყველაზე ძველი და დიდი ფაკულტეტია, მისი ისტორია კი უნივერსიტეტის დაარსების დღიდან,ანუ 1995 წლიდან იწყება. უნივერსიტეტი დაინტერესებულ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს სთავაზობს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს. ფაკულტეტზე ხორციელდება 9 საბაკალავრო პროგრამა, როგორც ქართულ, ისე - ინგლისურ ენაზე. ეს პროგრამებია: ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი და მენეჯმენტი, ტურიზმი, ეკონომიკა, კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამა, არქიტექტურის პროგრამა.

ილია ბოცვაძის თქმით, ფაკულტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სოციალური პროექტებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და წარმატებული სწორედ “ბიზნესის ანბანია.”

„მე და ჩვენი დამსახურებული პროფესორი გიორგი ბაღათურია ერთად მუშაობის პერიოდში ხშირად ვსაუბრობდით სოციალურ პრობლემეზე, როცა არასწორად განვითარებული ბიზნეს გეგმის შედეგად უამრავი ოჯახი ფინანსურად ზარალდება. გვინდოდა ფინანსების მართვისა და ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით




საბაზისო ცოდნა გაგვევრცელებინა და ამ გზით წვლილი შეგვეტანა არსებული პრობლემის მოგვარების საქმეში. ჩამოვყალიბდით,რომ უნივერსიტეტს,როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საგანმანათლებლო ორგანიზაციას,უნდა გაეკეთებინა პროექტი, რომელშიც ჩართული იქნებოდნენ სკოლის მოსწავლეები. ჩვენ მათ ცოდნას გავუზიარებდით, ხოლო ისინი, თავის მხრივ, საკუთარ გარემოცავში გაავრცელებდნენ მიღებულ ცოდნას“, აღნიშნა ჩვენთან საუბრისას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა დოქტორმა თეონა მაისურაძემ. მისი თქმით, **„ბიზნესის ანბანის“ თვითმიზანი უნივერსიტეტის პოპულარიზაცია არ ყოფილა, პროექტის ავტორებს სურდათ მოსწავლეებში ბიზნესის, მარკეტინგის, ფინანსების შესახებ საბაზისო, ანბანური ცოდნის გავრცელება. სახელწოდება „ბიზნესის ანბანიც“ სწორედ ამ იდეიდან მომდინარეობს.** წესების მიხედვით - მწვრთნელები ყოველ წელს იცვლებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის სტუდენტები, რომლებიც 2020-2021 წლებში ატრენინგებდნენ სკოლის მონაწილეებს, მომდევნო სასწავლო წელს სხვა სტუდენტებით ჩანაცვლდებიან. „მართალია, ემოციური თვალსაზრისით, მძიმეა, როცა რაღაც პროექტის, ანდა საქმიანობის დატოვება გიწევს, მაგრამ მინდოდა ჩემს სტუდენტებს ჰქონოდათ სამსახურის დაწყების, კარგად მუშაობის და შემდეგ ამ სამსახურის დატოვების გამოცდილება, რადგან ზრდასრულ პროფესიულ ცხოვრებაში მსგავსი მომენტები ხშირია“, გვითხრა თეონა მაისურაძემ.

ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ლალი ოსიყმიშვილი პროექტში მონაწილეობას სასიამოვნოდ იხსენებს, ამბობს,რომ მიიღო გუნდური მუშაობის გამოცდილება, გაიზარდა როგორც პროფესიულად, ისე - პიროვნულად.


ლალი ოსიყმიშვილი,სტუდენტი

ლალი ოსიყმიშვილი: „ბიზნესის ანბანი“ ერთი დიდი ოჯახია, სადაც იძენ ცოდნას, მოტივაციას და, რაც მთავარია, ახალ მეგობრებს“. „დიდი პასუხისმგებლობაა პროექტ-ში მონაწილეობა, რადგან არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ სხვა ადამიანებზეც უნდა იყო ორიენტირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ შენი მოვალეობაა მიღებული ცოდნა მოსწავლეებს გადასცე“, გვითხრა ლალი ოსიყმაშვილმა.

მარიამ მეზვრიშვილი პირველ კურსზეა და ჯერ გუნდის სტაჟიორია, თუმცა უკვე მოსწონს საქმე, რასაც ახლა სწავლობს. ამბობს, რომ პანდემიამ სოციალური აქტივობების და ახალი გამოწვევების მიღების მხრივ ცოტა შეაფერხა, თუმცა სამომავლოდ ეს დაბრკოლებაც გადაილახება. კითხვაზე, თუ რატომ მოინდომა პროექტში მონაწილეობა, მარიამმა გვიპასუხა,რომ სურს პიროვნულად და პროფესიულად განვითარდეს, შეიძინოს ახალი უნარ-ჩვევები, შეიძინოს ცოდნა, რომელსაც სხვებსაც გაუზიარებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ვიცე-დეკანი იაშა მურვანიძე ამბობს, რომ „ბიზნესის ანბანი“ ხელს უწყობს ახალი იდეების, ხედვების დაბადებას. **„სოციალური აქტივობებისა და პროექტების მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი ძალიან აქტიურია, რაც საგანმანათლებლოსთან ერთად სახალისოა. პროექტი თან ცოდნას გმატებს, თან - მეგობრებსაც იძენ. ვფიქრობ, ამ ყველაფერს პანდემიამ ხელი კი არ შეუშალა, უფრო შეუწყო. ვინაიდან პირისპირ სწავლების დროს სკოლის მოსწავლეები საქართველოს ყველა რეგიონიდან ვერ ჩამოდიოდნენ. პროექტის დისტანციურ რეჟიმში განხორციელბამ მონაწილეობის საშუალება რეგიონში მაცხოვრებელ უფრო ბევრი მოსწავლეს მისცა“.**

„ბიზნესის ანბანის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გიორგი ჯიქია პროექტს პირველად მე-10 კლასში შეუერთდა. „პროექტებში ხშირად არ ვმონაწილეობდი, თუმცა ეს კონკრეტული პროექტი იმდენად საინტერესო ჩანდა ჩემთვის, გადავწყვიტე გამოწვევა მიმეღო. ყველაზე მოულოდნელი ის აღმოჩნდა, რომ მოსაწყენი, რუტინული გარემოს ნაცვლად სახალისო, მრავალფეროვანი ატმოსფერო დამხვდა, რომელსაც თავად სტუდენტები წარმართავდნენ. მინდოდა ერთ დღეს მეც ასეთი ვყოფილიყავი“, ამბობს გიორგი. მიუხედავად იმისა, რომ „ბიზნესის ანბანი“ მეგობრული და სოციალური პროექტია, იგი ინარჩუნებს ობიექტურ და კრიტიკულ დამოკიდებულებას მონაწილეების მიმართ. პროექტის დასასრულს ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატები ჯილდოვდებიან. პროექტის განვითარებაზე მუშაობა კვლავ გრძელდება,მონაწილეები გეგმავენ უახლოეს მომავალში ისევ განახორციელონ გასვლები დედაქალაქის გარეთ, რათა რაც შეიძლება მეტი ახალი სახე აღმოაჩინონ და ხელი შეუწყონ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების განვითარებას.




# რექტორის ვიზიტი ქუთაისში



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი დოქ. საფფეთ ბაირაქთუთანი სამუშაო ვიზიტით ქუთაისში იმყოფებოდა. შეხვედრების ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა **ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს, ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლასა და ქალაქ ქუთაისის N2 საჯარო სკოლას შორის.** აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, სკოლის კურსდამთავრებულები, თანამშრომლები და მათი შვილები სპეციალური პირობებით შეძლებენ სწავლას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე. საფფეთ ბაირაქთუთანი, ასევე, შეხვდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს როლანდ კოპალიანს. საუბარი შეეხებოდა სამომავლო თანამშრომობას, ორ უნივერსიტეტს შორის.



# სისხლის დონაციის კამპანია IBSU-ში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თვითმმართველობამ სისხლის დონაციის კამპანია წამოიწყო. 5 ივნისს უნივერსიტეტის შენობას ღუდუშაურის კლინიკის სპეციალისტები ეწვივნენ, რომელთან დონაციის პროცესის უსაფრთხოდ ჩატარება უზრუნველყვეს. ვინაიდან საქართველოში სისხლის მარაგი ამოწურულია, რაც განსაკუთრებით სახიფათოა კორონავირუსის პანდემიის პირობებში, თვითმმართველობამ მოუწოდა სტუდენტებს, ლექტორებს, ადმინისტრაციასა და სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობას, ჩართულიყვნენ ამ კამპანიაში და ერთობლივი ძალისხმევით გადაერჩინათ სიცოცხლე.



# მემორანდუმი საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან

საქართველოს მედიატორთა ასოციაციასა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. **მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩართულობას მედიაციის დანერგვისა და განვითარების საქმეში.** მემორანდუმს ხელი მოაწერეს "საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ირაკლი ყანდაშვილმა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა - საფფეთ ბაირაქთუთანმა



# თანამშრომლობა საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტთან



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, დოქტ. საფფეთ ბაირაქთუთანმა, და საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა, ბაჩო ხუროშვილმა, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. **აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს მომავალი 7 წლის განმავლობაში თანამშრომლობას საქართველოს არაფორმალური განათლების ინსტიტუტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის შემდეგ საკითხებში: განათლება და ახალგაზრდობა, მეცნიერება და კვლევითი საქმიანობა, სტუდენტთა ხელშეწყობა და მათი კარიერული განვითარება.**



# ჟურნალისტიკა - ადამიანის შემჩნევისა და წარმოჩენის ხელოვნება

__*მარიამ მერლანი,*__
__*მარიამ ქობალია*__

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა პირველად 2014 წელს ამოქმედდა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა, ჯერჯერობით, მხოლოდ 4-მა ნაკადმა დაასრულა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის კურსდამთავრებულები უკვე გამოჩნდნენ ქართულ მედიაბაზარზე. ამ საგაზეთო მასალაში პირველი ნაკადის ორ კურსდამთავრებულს, მედიაორგანიზაცია „ინდიგოს" თანამშრომლებს - გვანცა ნადიბაიძესა და ნათია შარმიაშვილს - წარმოგიდგენთ



ნათია შარმიაშვილმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ სამაგისტრო დონეზე სწავლა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, კინორეჟისურის მიმართულებით განაგრძო. ნათიას თქმით, ერთი შეხედვით, თითქოს, მოსწყდა ჟურნალისტიკას, თუმცა ისე მოხდა, რომ ახლანდელი მისი საქმიანობა ჟურნალისტიკისა და კინოს მიმართულებას აერთიანებს. ამჟამად ნათია „ინდიგოს" ონლაინპლატფორმისათვის ამზადებს დოკუმენტურ ვიდეოებს, დაინტერესებულია სივრცეების კვლევით, ადამიანებითა და მათი ისტორიებით.

გვანცა ნადიბაიძე ჯერ კიდევ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ტელეკომპანია მაესტროს ბიზნესისა და ეკონომიკის გადაცემის რეპორტიორი იყო. სწავლა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, მულტიმედიური ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძო, პარალელურად პრაქტიკას გადიოდა გამომძიებელ ჟურნალისტთა ორგანიზაცია „აიფაქტში". „ჯიპა მედია ლაბში" პროექტის კოორდინატორის პოზიციაზე მუშაობის დროს, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებს აუდიო-ვიზუალურ თხრობის სწავლაში ეხმარებოდა. ამჟამად გვანცა მუშაობს „ინდიგოში" როგორც მულტიმედია ჟურნალისტი, იგი როგორც აუდიო-ვიზუალურ, ასევე ტექსტურ პროდუქტს ამზადებს



**პროფესიის არჩევის მოტივი**

**ნათია შარმიაშვილი:** ბავშვობიდან მაინტერესებდა ამბები და ადამიანებთან ურთიერთობა. საკმაოდ ცნობისმოყვარე ვიყავი, ასეთ ბავშვებს „დაბერებულ ბავშვებს" ეძახიან ხოლმე. ისტორიების მოსმენა, მათი გადააზრება და შემდგომ უკვე ინტერპრეტაცია - არასდროს მბეზრდებოდა. ჟურნალისტიკის მიმართულებით როდესაც ჩავაბარე, ბოლომდე გააზრებული არ მქონდა ეს არჩევანი, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ ეს სწორედ ის იყო, რაც მჭირდებოდა. სწავლის დაწყების მომენტიდან რაღაც პერიოდამდე, ვერ ვხვდებოდი ჟურნალისტიკის კონკრეტულად რომელ მიმართულებაში მინდოდა მუშაობა, სანამ არ გამოჩნდა კონკრეტული საგანი „საავტორო დოკუმენტური კინო", რომელსაც კინოდკუმენტალისტი ვანო არსენიშვილი გვიკითხავდა. სწორედ ამ საგანმა განსაზღვრა ჩემი სამომავლო პროფესიული გეზი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტი ამ კუთხით ძალიან დამეხმარა.

**გვანცა ნადიბაიძე:** ჟურნალისტიკაზე, როგორც სამომავლო პროფესიაზე, მხოლოდ დამამთავრებელ კლასებში დავფიქრდი, მინდოდა ისეთი პროფესია მქონოდა, რომელიც ხალხთან ურთიერთობას, საინტერესო თემებზე მუშაობასა და აქტიურობას გულისხმობდა. ჟურნალისტიკით ჩემი დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ ჩემი და ჟურნალისტია. თვალ-ყურს ვადევნებდი მის პროფესიულ ცხოვრებას, რამდენ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა და ნაწილობრივ ამის გამოც გაზარდა ჩემი ინტერესი და მოტივაცია.

**ჟურნალისტის პასუხისმგებლობები და პროფესიული სირთულეები**

**ნათია შარმიაშვილი:** საკითხი, რის პირისპირაც ყველაზე ხშირად ვდგები არის ის, რომ არ მივცე რესპონდენტს ისეთი დაპირება, რის შესრულებასაც ვერ მოვახერხებ. ჩემთვის პროფესიულ პასუხისმგებლობასთან ასოცირდება ზუსტი ინფორმაციის მიღება და გაცემა, თუ როგორ ეცდები გააგებინო კონკრეტულ რესპონდენტს რა სახის ინფორმაციის მიღება გსურს მისგან, რის შემდეგაც უკვე ინფორმაციის მიღების პროცესი იწყება. ჩემს შემთხვევაში, სწორედ ასეთი კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. **ხშირად მეუბნებიან, რომ რესპონდენტებთან მეტი ფორმალურობის დაცვაა საჭირო, მაგრამ ჩემთვის ეს ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ყოველთვის მირჩევნია, რომ რესპონდენტს გავესაუბრო უშუალოდ - როგორც ადამიანი ადამიანს. ასეთ დროს ადამიანი შენთან იხსნება, მეტ ინფორმაციას გაწვდის, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა ისარგებლო ამ გახსნილობით და ნდობით, მაქსიმალურად უნდა ეცადო, მისი სათქმელი ისე გადმოსცე, როგორც მას სურს.**

**გვანცა ნადიბაიძე:** ჩემი აზრით, ჟურნალისტიკა ერთ-ერთი რთული და საჯარო პროფესიაა, საჯაროობის გამო შენი ყველა სიტყვა კრიტიკულად შეიძლება შეფასდეს. საპასუხისმგებლოა იმ ადამიანების მხრიდან გამოცხადებული ნდობა, რომლებიც თავიანთ ამბავს, სათქმელს გიყვებიან. ისინი გულს გიშლიან და შემდეგ შენი გადასაწყვეტია, როგორ და რა ფორმით მიიტან ამ ამბავს საზოგადოებამდე, რაც ,რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაა. ჟურნალისტიკა არ არის მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ გამოცდილება, რომელსაც აგროვებ.

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა**

**ნათია შარმიაშვილი:** თავდაპირველად, რის გამოც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ავირჩიე, სწორედ პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერებული სწავლება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტი პირველ ნაბიჯებს დგამდა, სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით მიმიზიდა და საბოლოო არჩევანი სწორედ IBSU-ზე შევაჩერე. არჩევით ნაწილში გვქონდა მრავალფეროვანი საგნები, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩემს შემდგომ არჩევანზე. იყო არჩევითი საგნები, რომლებიც საკმაოდ საინტერესო და მრავლისმომცველი იყო და სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა საგანმა ძალიან დიდი გავლენა იქონია ჩემზე. ეს დოკუმენტური კინოს საგანი იყო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო ჩემი ცოდნა ორივე კუთხით.

**გვანცა ნადიბაიძე:** მე რომ ჩავაბარე IBSU -ში, ეს იყო პირველი წელი, როდესაც ჟურნალისტიკის პროგრმა გაიხსნა და ვნერვიულობდი, რადგან არ ვიცოდი რა დამხვდებოდა. თუმცა ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე და ნამდვილად ღირდა რისკზე წასვლა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერისტეტმა რა შანსებიც მომცა, ვფიქრობ, ყველაფერი გამოვიყენე, თუნდაც უნივერისტეტის გაზეთის რედაქტორობის შანსი. ჩემი სტუდენტობის დროს ძალიან ბევრი შეხვედრა და ღონისძიება ტარდებოდა, რასაც აქტიურად ვაშუქებდით უნივერისტეტის მედიაკლუბში გაერთიანებული სტუდენტები. უნივერისტეტმა მომცა საშუალება საგნების ფარგლებშივე მიმეღო მცირე პრაქტიკული გამოცდილებები, მესწავლა რესპოდენტებთან ურთიერთობა, საუბარი, მონტაჟი და გადაღება, რომელიც შემდეგ მაგისტრატურაზე ძალიან გამომადგა, რადგან რაღაც-რაღაცეები უკვე ვიცოდი. ერთი პერიოდი ვმუშაობდი ტელევიზია „მაესტროში", სადაც, ასევე, ჩემი უნივერისტეტის ერთ-ერთი ლექტორის რეკომენდაციით მოვხვდი, ეს უკვე რეალური პრაქტიკა იყო ჩემთვის.

**კონტრასტი საუნივერსიტეტო სწავლებასა და რეპორტიორული პრაქტიკაში**

**ნათია შარმიაშვილი:** უამრავი რამ, რაც სწავლისას გვხდება, შესაძლოა პროცესისას მნიშვნელოვნად არ ჩავთვალოთ, თუმცა რაღაც დანალექი მაინც რჩება მეხსირებაში და შემდეგ, როდესაც რეალურ პროფესიულ საქმიანობას ვიწყებთ, ეს ყველაფერი გვახსენდება და ვიყენებთ.

**გვანცა ნადიბაიძე:** გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, განსხვავდება, თუნდაც დროის მხრივ. მაგალითად, **უნივერისტეტში ლექტორი დავალებას გაძლევს, რომლის შესასრულებლადაც ერთი კვირა გაქვს, ტელევიზიაში კი ერთი საათი,ან ნაკლები ვადა გაქვს,სწორედ ამას უნდა აუწყო ფეხი, უნდა გაანალიზო, რომ აღარ ხარ სტუდენტი და მეტი პასუხისმგებლობა მოგეთხოვება. ვფიქრობ, მთავარია ის ცოდნა და უნარები, რაც უნივერისტეტში მიიღე, შენს ახლანდელ რეალობას მოარგო და შესაბამისად გამოიყენო.**

**ჟურნალისტიკა საქართველოში**

ნათია შარმიაშვილი: ყველას გვასწავლიდნენ, რომ მედია მეოთხე ხელისუფლებაა. აქედან გამომდინარე, მედია არის როგორც კარგი, ასევე - ცუდი იარაღი. საქართველოში კარგი და პროფესიონალი ჟურნალისტი განსხვავებულად აღიქმება. ადამიანებს ისეთი წარმოდგენა აქვთ, თითქოს ნამდვილი ჟურნალისტები მხოლოდ ტელევიზიაში მუშაობენ, ხოლო ყველა სხვა ტიპის მედიაორგანიზაციში დასაქმებული რეპორტიორი არ არის ნამდვილი რეპორტიორი. დარწმუნებული ვარ,ტექნოლოგიებს განვითარებასთან ერთად ეს მიდგომა შეიცვლება. მნიშვნელოვანია, რომ რეიტინგის გამო ჟურნალისტებმა არ უნდა ჩაიდინონ ის, რაც პროფესიულ ეთიკას და სტანდარტებს ეწყინააღმდეგება.

გვანცა ნადიბაიძე: მეტი სიღრმისეულობა გვჭირდება. მგონია, რომ ბევრი რამ ძალიან ზედაპირულად კეთდება ჩვენს სფეროში, თუნდაც ამბების გაშუქების მხრივ, აუცილებელია ეძიო პრობლემის სათავეები, რომ ანახო საზოგადოებას რატომ და რის გამო ვართ ამა თუ იმ პრობლემისა თუ სიტუაციის წინაშე.

**თემა, რომელზე მუშაობაც არასდროს გბეზრდებათ...**

**ნათია შარმიაშვილი: ახალი ადამიანების შემჩნევა. როდესაც ვსეირნობ, მაშინაც კი ყურადღებით ვათვალიერებ ყველაფერს. ასე ბევრი ადამიანი გამიცვნია და შემდეგ უკვე მათზე გამიკეთებია მასალა. ადამიანების აღმოჩენა და მათზე ისტორიების მოყოლა არასდროს მბეზრდება.**

**გვანცა ნადიბაიძე: ვფიქრობ, სოციალურ თემებზე მუშაობა და ადამიანების ისტორიების მოსმენა არასოდეს მომბეზრდება. ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ჟურნალისტები ბევრს ლაპარაკობენ, თუმცა, ჩემს შემთხვევაში, პირიქით არის, ლაპარაკზე უფრო მოსმენა მიყვარს, სწორედ ადამიანური ისტორიების მოსმენა.**


გვანცა ნადიბაიძე

**რჩევა ჟურნალსიტიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის**

**ნათია შარმიაშვილი:** პირველ რიგში, ვურჩევდი, რომ იყვნენ ორიენტირებული რაღაც ახალზე, დაინტერესდნენ ყველაფრით. არ ისწავლონ მხოლოდ იმისთვის,რომ მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდეთ, მთავარია, გაიაზრონ რას სწავლობენ და რისთვის იბრძვიან.

**გვანცა ნადიბაიძე:** პირველ რიგში, ვიტყოდი, რომ შრომა ყველაფერია და არ არსებობს ე.წ ტყუილი შრომა. ადამიანი თუ იშრომებს, ადრე თუ გვიან დაუფასდება, ასეა ჩვენს პროფესიაშიც. თუ იშრომებ და ბევრ პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებ, აუცილებლად მიაღწევ წარმატებას.

# ინგლისური ენა, სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ინგლისური ენის პედაგოგთა გადამზადების საერთაშორისო პროგრამის პარტნიორი წელსაც იყო

***ანა აბუსერიძე,***
***თიკა სიბოშვილი***

ინგლისური ენის, სამოქალაქო განათლების და ტექნოლოგიების ერთ გაკვეთილში ინტეგრირება და საქართველოში ინგლისური ენის პედაგოგების წვრთნა - ასეთი მიზანი აქვს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით“ (CTEL ). შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უკვე ორი წელია, რაც პროექტში ჩაერთო. პროგრამას საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია PH International-ი ახორციელებს. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები - ეკატერინე ფიფია და ნიკოლოზ ფარჯანაძე პროექტის აკადემიური და ადმინისტრაციული კოორდინატორები არიან.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება სხვადასხვა დისციპლინის ინტეგრირებული სწავლება. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია PH International 1985 წელს დაფუძნდა. დაფუძნებისას მისი მიზანი მაშინდელ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აშშ-ს შორის საერთაშორისო საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამების ორგანიზება იყო. 36 წლიანი პერიოდის განმავლობაში PH International-ის ადმინისტრირებით სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა 10.000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. როგორც ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსებული მისია გვამცნობს: „დღეს PH International -ის მისია სამოქალაქო ჩართულობის, კულტურათაშორისი სწავლებისა და ციფრული ეპოქის გაზრდილი შესაძლებლობების გამოყენებით ძლიერი გლობალური საზოგადოების მშენებლობაა. PH International ესწრაფვის ისეთ სამყაროს, სადაც ცალკეული ინდივიდები და სოციუმები გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად საზღვრებს მიღმა ითანამშრომლებენ. ამ მიზნის მსოფლიოს მასშტაბით განსახორციელებას PH International-ი ახალგაზრდებისთვის, პროფესიონალებისა და საზოგადოებებისთვის ინოვაციური პროგრამების ხელშეწყობით ცდილობს. ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით სწავლასა და წინსვლას ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარების, პირადი თუ ონლაინ ჩართულობის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კოალიციების შექმნის, გლობალური თანამშრომლობის გზით. ყველა ამ ძალისხმევის ქვაკუთხედი ნიჭიერი, მრავალეროვნული პერსონალია.“

**PH International უკვე წლებია, რაც საქართველოში ახორციელებს პროექტს - „სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით“ (CTEL). ამ ხნის განმავლობაში გადამზადება საქართველოში მოქმედმა 120 სკოლის 500 მდე მასწავლებელმა (სტუდენტი მასწავლებლების ჩათვლით) გაიარა. უკე მეორე წელია,რაც პროექტის განხორციელებაში საქართველოში PH International -ის ფილიალს პარტნიორობას უწევს შავი ზღვის უნივერსიტეტი, ამ პროექტის პარტნიორია,აგრთვე, ქუთაისის აკ .წერეთლის უნივესიტეტი და ზუგდიდის შ.მესხიას უნივერსიტეტი, 2016 წლიდან კი პროექტის პარტნიორი აშშ-ს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი გახდა.**

ტრენინგის განმავლობაში ინგლისური ენის პედაგოგები ეუფლებიან სწავლების ისეთ მეთოდებს,სადაც ინგლისური ენა, სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინტეგრირებულია. ამ წამოწყების მთავარი მიზანია საჯარო სკოლების ინგლისური ენის, სამოქალაქო განათლებისა და ტექნოლოგიების მასწავალებლებს ხელი შეეწყოთ პროფესიულ განვითარებაში. წარმატებული მასწავლებლები კი პროფესიულ პრაქტიკას გაივლიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროექტის აკადემიური და ადმინისტრაციული კოორდინატორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკატერინე ფიფია აღნიშნავს, რომ ტრენინგის სესიები ინტენსიურობითა და ნაყოფიერებით გამოირჩევა.

“პროგრამა გრძელდება ერთი წლის განმავლობაში თითოეული ნაკადისთვის. მთელი წლის განმავლობაში მასწავლებლები ესწრებიან 7 ტრენინგს, რომელიც ჯამურად 42 საათს გრძელდება. მასწავლებლებისთვის ტრენინგის ყველა მოდულს პრაქტიკული დატვირთვა აქვს. ტრენინგის შედეგად ათვისებული მეთოდის გამოყენება მათ პრაქტიკაში შეუძლიათ. საბოლოოდ კი, მიღწეული შედეგების მონიტორინგი და შეფასებაც ხდება. ყოველი მოდულის ტრენინგის შემდეგ მასწავლებლები ატარებენ სადემონსტრაციო გაკვეთილებს. საჩვენებლი გაკვეთილის ჩატარებამდე ტრენერებს უკუკავშირისთვის ეგზავნებათ გაკვეთილის გეგმა და სასწავლო მასალები. ამ სადემონსტრაციო გაკვეთილებზე მასწავლებლები იყენებენ ტრენინგის განმავლობაში განვლილ მასალას სამოქალაქო განათლების,ენის სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო ციფრული აპლიკაციების სფეროებიდან. სადემონსტრაციო გაკვეთილებს ესწრებიან ტრენერები და აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს გაკვეთილთან დაკავშირებით,” - აღნიშნა ეკა ფიფიამ და დასძინა, რომ მიღებულ ცოდნას მასწავლებლები პრაქტიკაში მუდმივად იყენებენ,რაზე დაკვირვებაც,ასევე, პროექტითაა გათვალისწინებული.




ნიკოლოზ ფარჯანაძე, პროფესორი, დოქტორი

**“მაისის თვეში ყველა სკოლა ატარებს ღია გაკვეთილების სერიას, რომელსაც დაესწრებიან სკოლის დირექტორები და მოწვეული კოლეგები. ამ გზით ტრენინგის მონაწილეები მიღებულ გამოცდილებას კოლეგებსაც უზიარებენ. პროექტში მონაწილე რამდენიმე სკოლა აპირებს გააგრძელოს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა”**, - დასძინა ეკატერინე ფიფიამ

კოვიდ პანდემიის პირობებში, პროექტი „სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით“ მაინც განხორციელდა,თუმცა ტრენინგები ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. მართალია, დისტანციურად სწავლების მართვა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, თუმცა პროექტმა ეს დაბრკოლებაც გადალახა და პედაგოგებს საშუალება მისცა,რომ მიეღოთ ახალი ცოდნა.

პროექტის კიდევ ერთი აკადემიური და ადმინისტრაციული კოორდინატორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ფარჯანაძე აღნიშნავს: „როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ჩვენთვისაც ძირითადი დაბრკოლება იყო პანდემია, ამის გამო ტრენინგები დისტანციურ რეჟიმში 2020 წელსვე გადავიდა. მოგვიხდა მოდულების შინაარსობრივი ნაწილის გარკვეულწილად შეცვლა და არსებულ მოთხოვნებთან მორგება. მასწავლებლებისთვის შევქმენით სასწავლო მასალები ონლაინ პლატფორმების გამოყენების შესახებ. **„2016 წელს პროექტი პირველად განხორციელდა აჭარასა და კახეთში. 2018 წელს, პროგრამა გაფართოვდა და მოიცვა შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. 2019 წელს პროექტი ხორციელდებოდა თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში. 2020 წელს თბილისს, რუსთავს და ქუთაისს დაემატა გურია და სამეგრელოს რეგიონები. ჯამში, 2016-2020 წლებში, პროგრამაში მონაწილეობა მიიღო სულ 120-მა საჯარო სკოლამ ზემოთ მოცემული ყველა რეგიონიდან“.** ფაქტია, ტრენინგი წარმატებულია, რაზეც მასშტაბებიც მიგვითითებს. პროექტმა ძალიან დიდი გამოცდილება შესძინა როგორც მწვრთნელებს, ასევე -მონაწილე პედაგოგებს.

43 წლის მარიამ ჭავჭავაძე უკვე 11 წელია, რაც თბილისის 31-ე საჯარო ს სკოლის ინგლისური ენის პედაგოგია. იგი პროექტში 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში მონაწილეობდა. მისი თქმით, უკეთესი იქნებოდა პროექტის პირდაპირ რეჟიმში წარმართვა, მაგრამ არც დისტანციურად მუშაობა აღმოჩნდა რთული.

„პედაგოგებისთვის პროექტმა ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. კოლეგიალობაში უფრო მეტად შევიკარით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამავდროულად ჩამოყალიბდა გუნდურობის პრინციპი, ვიზიარებდით ერთმანეთის აზრს, განვიხილავდით დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც, თავისდავად, ძალინ სასარგებლოა. სწავლის და სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით შესანიშნავი პროექტია“, - აღნიშნა ჭავჭავაძემ და დასძინა, რომ პირველ ეტაპზე ბავშვებისთვის სიახლის გაზიარება ცოტა რთული აღმოჩნდა, თუმცა - არა შეუძლებელი.

**„ვცდილობდი,რომ ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მეჩვენებინა სიახლეები,თავიდან მათთვისაც უცხო იყო სხვადასხვა ციფრულ პლატფორმაზე მუშაობა, თუმცა სირთულეები მარტივად დავძლიეთ და მოკლე ხანში თვითონაც სიახარულით ითვისებდნენ**




**ახალ მასალას. მათ, ვისაც პროექტში ჩართვის სურვილი აქვთ, მინდა ვუთხრა, რომ მთავარი არის კოლეგიალობა. აუცილებელია გვქონდეს მიზანი, რომლის მიღწევისთვისაც ვიმუშავებთ და გავითვალისწინებთ მწვრთნელების შენიშვნებსა და გაზიარებულ ცოდნას. სკოლების ინგლისური ენის პედაგოგებს დაბეჯითებით ვურჩევდი პროექტში მონაწილეობას“,** დასძინა მარიამ ჭავჭავაძემ.

პროექტის გავლის შედეგად საქართველოს სკოლების ინგლისური ენის პედაგოგთა მიერ საკლასო ოთახში გამოყენებული სწვლების მეთოდები გადახალისდა. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს შედეგი უფრო მასშტაბური და მდგრადი პოზიტიური შედეგის მიღწევის, კერძოდ, მრავალმხრივად განვითარებული მოსწავლეების ჩამოყალიბების საფუძვლად უნდა იქცეს.


ეკატერინე ფიფია, პროფესორი, დოქტორი

## IBSU ლიბერთი ბანკის პარტნიორი გახდა




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ლიბერთი ბანკის პარტნიორი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ **წარმატებულ სტუდენტებს ლიბერთი ბანკში დასაქმების შესაძლებლობა მიეცემათ. წარმატებული სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე ბანკის გამოცდილი მენტორები იზრუნებენ.**

## IBSU ევროპის ბიზნეს სკოლის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულზე




საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის თანამშრომელმა, ნათია მაღალაშვილმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ბიზნეს სკოლის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულში, რომელიც გაიმართა პორტუგალიაში, ქალაქ პორტოში, 3-6 მაისის პერიოდში.




მობილობა დაფინანსებული იყო Erasmus+staff-ის მიერ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარადგინა ქალბატონმა ნათია მაღალშვილმა, რომელმაც გამართა მინი ლექცია საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის აქტივობების შესახებ და ჩაერთო ნეთვორქინგის პროცესში სხვადასხვა უნივერსიტეტებთან.



# IBSU TOEFEL-ის ტესტირების ავტორიზებული პარტნიორია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს TOEFEL-ის გამოცდები საქართველოში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს 20 ადგილიან, ყველა საჭირო ინსტრუმენტით აღჭურვილ საგამოცდო ლაბს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს საგამოცდო საკითხებზე ფოკუსირებას.




# სამართლის ფაკულტეტის მემორანდუმები იურიდიულ კომპანიებთან

მემორანდუმები გაფორმდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტსა და რამდენიმე იურიდიულ ფირმასთან. ესენია: Legal Service Group/ლიგალ სერვის გრუპი, გიორგი ზარნაძის იურიდიული კომპანია, Kakushadze Law Office და LTD Law Firm Geto Project. **მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების კონსოლიდაციის გზით.** თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება , კვლევისა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ კადრების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.




# ცვლილებები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ბაჩო მჭედლიშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი პანდემიური სიტუაციის პირობებშიც, 2020-2021 სასწავლო წელსაც აგრძელებდა ტრადიციულ აქტივობებს - უნივერსიტეტში ეწყობოდა სასკოლო ოლიმპიადები, სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები ატარებდნენ ტრენინგ-კურსებს, დისტანციურ რეჟიმში იმართებოდა საჯარო ლექციები. პანდემიის დაწყების პარალელურად უმაღლეს სასწავლებელში რიგი სტრუქტურული და საკადრო ცვლილებებიც განხორციელდა.

უმაღლესმა საწავლებელმა, პანდემიური სიტუაციის მიუხედავად, გააგრძელა სასკოლო ოლიმპიადების ჩატარების ტრადიცია. უნივერსიტეტის კანცლერის, ექრემ დინდაროლის თქმით, ამ ღონისძიებების შეჩერება დასანანი იქნებოდა, რადგან სწორედ სასკოლო ოლიმპიადები აძლევს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ცოდნის კაპიტალად ქცევის საშუალებას. ოლიმპიადის გამარჯვებულებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სხვადასხვა ტიპის შიდა სასწავლო გრანტს


ექრემ დინდაროლი, კანცლერი

სთავაზობს. ამჯერად ეს ღონისძიება დისტანციურ რეჟიმში გაიმართა . **„ჩვენი უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სასკოლო ოლიმპიადებს, რათა აბიტურიენტებს მისცეს საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობა, მათ შორის საუკეთესოებს კი სრულად, ან ნაწილობრივ, უფინანსებს ბაკალავრიატზე სწავლას. სასკოლო ოლიმპიადის ტექნიკური მიმართულება მოიცავს ტესტირებას 3 საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და მათემატიკა; ჰუმანიტარული მიმართულებით კი მოიცავს, ასევე, 3 საგანს: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ისტორია. წელს ოლიმპიადაზე მონაწილეობა მიიღო 1630 -მა აბიტურიენტმა. შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო დაფინანსება კი მიიღო - 1184 -მა აბიტურიენტმა.“**

პანდემიური სიტუაციის პირობებში უნივერსიტეტმა პირისპირ სწავლების აღდგენის შესახებ სტუდენტებში სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტთა ერთ ნაწილს პირისპირ სწავლება სურდა, მეორე ნაწილს კი (ძირითადად რეგიონში მაცხოვრებელ სტუდენტებს, ანდა - მათ, ვინც რისკჯგუფშია, ან - ოჯახის წევრი ჰყავს რისჯგუფში) დისტანციურ რეჟიმში დარჩენა ერჩივნა. ამ ვითარების გათვალისწინებით, ადმინისტრაციამ მარტში სწავლის ჰიბრიდულ რეჟიმში გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო, სტუდენტების ის ნაწილი, ვისაც პირისპირ სწავლა სურდა, უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს.

„იმედი გვაქვს 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში პანდემიური სიტუაცია გაუმჯობესდება და სტუდენტებს აუდიტორიებში დარჩენის საშუალება მიეცემათ. **“სტუდენტები ძალიან მოგვენატრნენ, მათ გარეშე დარჩენილი ეზოც და შენობებიც სევდიანი სანახავია. ამიტომ სულით და გულით ველოდებით თქვენთან პირისპირ შეხვედრას, იმედი გვაქვს, რომ 2021 წლის სექტემბრიდან პირისპირ სწავლება სრულად განახლდება. ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტური კლუბების ინიციატივით ბევრი ღონისძიება ტარდება და ადმინისტრაცია ყოველთვის ხელს უწყობს მათ. პირისპირ სწავლების სრულად აღდგენის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, გვექნება უფრო მოტივერებული, განახლებული სხვადასხვა სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობებით დატვირთული ცხოვრება“,** გვითხრა ექრემ დინდაროლმა.

პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა რამდენიმე საგულისხმო ცვლილება განახორციელა, დაიწყო ბიბლიოთეკის განახლება, 2021 წლის სექტემბრიდან ბიბლიოთეკა სასწავლო კორპუსის ზედა სართულზე გადავა. უნივერსიტეტის ნულოვან სართულზე კი, სადაც დღეს ბიბლიოთეკაა, განთავსდება დიდი თავისუფალი ზონა ბილიარდით, სათამაშო აპარატებით და ა.შ. სასწავლო კორპუსში მზადდება დისკუსიის ოთახები, ასევე სტუდენტებს ექნებათ



თეა კბილცეცხლაშვილი, პრორექტორი


ნინო ჯოჯუა, პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით

ღონისძიებების განხილვის და დაგეგმვისთვის გამოყოფილი ოთახები.

პანდემიის პარალელურად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში რამდენიმე სტრუქტურული და საკადრო ცვლილება განხორციელდა. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის, თამარ შუდრას თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში წარმართული სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესი ემსახურებოდა უნივერსიტეტის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას. ცვლილებები შეეხო როგორც ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) სახელწოდებას, ასევე - ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს. უნივერსიტეტში არსებული 5 ფაკულტეტიდან რამდენიმე გაერთიანდა და ამჟამად უნივერსიტეტში სამი გამსხვილებული ფაკულტეტი არსებობს. ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამების მართვის ეფექტურობა გაიზარდა, რაც დადებითად აისახა უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისათვის მიწოდებული სერვისის ხარისხზე. ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში განხორციელებული საკადრო ცვლილებები შეეხო სტუდენტურ საქმეთა სამსახურში და საგამოცდო ცენტრში დასაქმებულ პირებს. ისინი ახლადშექმნილი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში იქნენ გადაყვანილნი.

**სასწავლო პროცესის მართვის სამსახური 2021 წლის გაზაფხულის სემესტრიდან შეიქმნა. ამ სამსახურს, სხვა ფუნქციებთან ერთად, დაეკისრა სტუდენტურ საქმეთა სამსახურისა და საგამოცდო ცენტრის მოვალეობები. ამრიგად, შეიქმნა სტუდენტებზე მორგებული მომსახურების ერთიანი სივრცე, რომელიც საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხის ადმინისტრირებას კომპლექსურად ახორციელებს**.

უნივერსიტეტის რექტორის პოსტიდან დოქტორ ილიას ჩილოღლუს გადადგომის შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის პოზიციაზე დაინიშნა უნივერსიტეტის კანცლერი, დოქტ. საფფეთ ბაირაქთუთანი. კანცლერის თანამდებობა კი - დოქტ. ექრემ დინდაროლმა დაიკავა. რექტორის მოადგილეებად დაინიშნენ ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თეა კბილცეცხლაშვილი და ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო ჯოჯუა.

**თამარ შუდრა: „უნივერსიტეტი წლებია უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალებისა და უნივერსიტეტის პერსონალის ავტორობით წიგნების გამოცემას. ამ მიმართულების ცენტრალური კოორდინირებისათვის შეიქმნა პროექტებისა და ინოვაციების სამსახური და კონფერენციებისა და პუბლიკაციების სამსახური. აღნიშნული სამსახურები კიდევ უფრო გაზრდის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნივერსიტეტის ეფექტიანობას“.**

თამარ შუდრას თქმით, უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება სტრუქტურულ ერთეულებს შორის შეხვედრები, სადაც განიხილება უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები, საჭიროებები და შესაბამისად იგეგმება განსახორციელებელი ცვლილებები. სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობებიდან შუდრამ ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამების შე-


თამარ შუდრა, უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი

მუშავებისა და დანერგვის კუთხით დაგეგმილ აქტივობებზე, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის განახლებასა და წიგნადი ფონდის გამდიდრებაზე. თამარ შუდრა: “ახალი (ერთობლივი) პროექტების განხორციელების კუთხით ხაზგასასმელია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიებისა და არსებული კონტაქტების გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. საკადრო ცვლილებების მხრივ უნივერსიტეტი ორიენტირებულია მაქსიმალურად შეამციროს სამუშაო ძალის გადინება. ასევე, უმეტესად ყველა საკადრო ცვლილება ხორციელდება დასაქმებულებთან კონსულტაციების გამართვის საფუძველზე”.

# “იმპერიები და იმპერიალიზმი” შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხარდაჭერით ახალი სახელმძღვანელო გამოიცა

მალხაზ ზავრაშვილი,
სალომე კაიშაური

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა ეკა ავალიანმა 2021 წელს უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოსცა სახელმძღვანელო -იმპერიები და იმპერიალიზმი. გთავაზობთ ავტორთან მოკლე ინტერვიუს.

**-ქალბატონო ეკა, წიგნის შექმნის სურვილი და იდეა როგორ გაჩნდა?**

-იდეა მოიტანა ყოველდღიურმა ცხოვრებამ, როდესაც აკვირდები სახელმწიფო ინტერესებს, მათ წარმონაქმნებს, მათ შესაძლებლობებს, ურთიერთობებს ერთნმანეთთან. გამოიყოფა ორი ტიპი სახელმწიფოები,სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურნი და უნარიანნი არიან განავრცონ საკუთარი ძალაუფლება და მეორე, რომლებიც სუბორდინირებული ერთეულები არიან, და „მიმღების“ პოზიციაში იმყოფებიან. შემდეგ, შევაგროვე ლიტერატურა სხვადასხვა იმპერიებზე, დავამუშავე და დავიწყე ამ საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევა. განსაკუთრებით მაინტერესებდა ეგვიპტური და რომაული იმპერიების აღზევების ისტორიები. ეს იმპერიები პირველი ტრანსრეგიონული ზესახელმწიფოებია, რომელთა შეხასებ მდიდარი ისტორიული ცნობები გვაქვს. საინტერესო პრობლემაა საქართველოსა და სხვადასხვა იმპერიას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები.

**-რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობდით წიგნზე?**

-არ არის მარტივი, საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, დაახლოებით 6-7 წლის განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდი წიგნზე. ხელი შემიწყო იმან, რომ ეს კურსი იკითხება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ბევრმა იდეამ აპრობირება გაიარა სტუდენტებთან თანამშრომლობის პროცესში, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ხშირად დისკუსიების პროცესში ახალი იდეები ჩნდებოდა.



ეკა ავალიანი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის პროფესორი. 90-მდე ნაშრომის ავტორი, აქედან ოთხი მონოგრაფია და ოთხი სახელმძღვანელო. გამოცემული აქვს ნაშრომები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

**-ვისთვის არის თქვენს მიერ შექმნილი წიგნი განკუთვნილი? ვისთვის იქნება ის საინტერესო?**

-პირველ რიგში ჩემი სტუდენტებისთვის, რომლებიც ირჩევენ საგანს „იმპერიები და იმპერიალიზმი“ და სხვებისთვისაც - ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, რომლებსაც აინტერესებთ იმპერიების ფენომენი, მათი ფორმირება, განვითარება და ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. იმპერიებით იწყება გლობალიზაციის ტენდენციები.

**-როგორ დაეხმარება ეს წიგნი თქვენს სტუდენტებს, რომლებიც „იმპერიებსა და იმპერიალიზმის“ კურსს გადიან?**

-სანამ ეს წიგნი დაიწერებოდა, ამ საგანს ვასწავლიდი და სტუდენტებს ვაძლევდი სხვადასხვა მასალას, რაც მათთვის საინტერესო იყო. დღეს, როდესაც ლექციებმა წიგნის სახე მიიღო, სტუდენტებისათვის სწავლის პროცესი უფრო მოსახერხებელი გახდება, მათ აღარ სჭირდებათ ძიება, დროის კარგვა სხვადასხვა წყაროდან მასალის მოძიებაზე. ვფიქრობ, რაღაც სიახლის მიწოდება მათთვის ჩემი მცირე ნაშრომითაც შევძელი.

**-როგორი იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლი ამ პროცესში?**

-უნივერსიტეტი ძალიან კეთილგანწობილი იყო, ყველანაირად მეხმარებოდა მუშაობის პროცესში. მე არ მიგრძვნია არანაირი დაბრკოლება და ხელის შეშლა, ყველა ხელს მიწყობდა და მეხმარებოდა ამ წამოწყების განხორციელებაში. ადმინისტრაციის მადლიერი ვარ.

**-თუ მუშაობთ ახალ წიგნზე და გეგმავთ თუ არა ახალი წიგნის გამოცემას?**

-ამ ეტაპზე ასეთი მსხვილი და ფუნდამენტური იდეა არ გამჩენია, რამდენიმე წლის წინ გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი მარადიული ქალაქები. ამ წიგნზე 10 წელი ვმუშაობდი. ეს წიგნიც ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოსცა. წელს ეს წიგნი გამოვიდა. ახლა , ალბათ, შევისვენებ, უნდა მომწიფდეს იდეა, რომ შემდეგ ის რეალობად იქცეს.

# IBSU-ს სამაგისტრო პროგრამა ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ციფრული მედიისა და კომუნიკაციის” ახალმა სამაგისტრო პროგრამამ, სრული ოთხწლიანი აკრედიტაცია მიიღო. პროგრამა აშშ-ს საელჩოს „მედიაგანათლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და ამბის თხრობის“ სამაგისტრო პროგრამის ანალოგიით (ხელ-ი პროფ. რიშელ როჯერსი) მომზადდა.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამა, უნიკალურია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში. ეს არის პირველი მცდელობა სამაგისტრო საფეხურზე ციფრული მედიისა და ციფრული კომუნიკაციების სწავლების. მისი კომპეტენციები რელევანტურია არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო ბაზრისთვის.

პროგრამის მიზანია მოამზადოს სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში თანამედროვე მედიაინდუსტრიის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც გარდა თეორიული ცოდნისა, ფლობენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებსა თუ ფორმებს; სხვადასხვა პლატფორმების მომზადებისა და მულტიმედია მასალების შექმნის უნარს; სოციალურ მედიაში პიარ კამპანიების დაგეგმვის უნარს; კვლევის წარმოებისა და სოციალური მედიის ანალიტიკის უნარს; მონაცემთა დამუშავებისა და მათი ვიზუალიზაციის უნარს და ა.შ.

სამაგისტრო პროგრამა შექმნილია ნებისმიერი სპეციალობის ადამიანებისთვის, ვისაც სურს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სფეროს სიღრმისეულად შესწავლა. განკუთვნილია როგორც მათთვის, ვინც საბაკალავრო საფეხურზე სწავლობდა ჟურნალისტიკას/მასობრივ კომუნიკაციას, ისევე მათთვისაც, ვინც გადაწყვეტს მაგისტრატურის საგანმანათლებლო საფეხურზე სპეციალობის შეცვლასა და ახალი პროფესიის დაუფლებას. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება, როგორც ონლაინმედიაში, ასევე ტრადიციულ მედიაორგანიზაციებში (ტელევიზია, გაზეთი, ჟურნალი, საინფორმაციო სააგენტო); საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, მულტიმედიაჟურნალისტებად, პროდიუსერებად, სოციალური მედიის მენეჯერებად და ა.შ.

პროგრამა სექტემბერში უკვე მიიღებს პირველკურსელებს. სწავლის საფასურია 3750 ლარი. “ციფრული მედიისა და კომუნიკაციის” ახალი სამაგისტრო პროგრამა შეფასებულია უცხოელი ექსპერტების მიერაც. 6 გამოხმაურება მიიღო ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან.

# სწავლებისა და კვლევის ოცდახუთწლიანი ტრადიცია, რომელიც კვლავაც ვითარდება

## ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ საფფეთ ბაირაქთუთანთან

ლუკა ქოქოსაძე,
გია კვეკვესკირი

სასწავლო წლის დასაწყისი ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და სტუდენტებისათვის სიახლეების დროა. როგორ ხვდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2021-2022 სასწავლო წელს? რა პროგრამებს სთავაზობს დაწესებულება აბიტურიენტებს? რა სიახლეები და საშეღავათო სქემები მუშაობს უნივერსიტეტში? ამ და სხვა შეკითხვებზე უნივერსიტეტის რექტორ, დოქტორ საფეთ ბაირაქთუთან ვისაუბრეთ.

**-ბატონო საფფეთ, რა სიახლეებს სთავაზობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მომავალ სტუდენტებს?**

-ჩვენს უნივერისტეტს ის უპირატესობა აქვს, რომ ბევრ სპეციალობაზე ჩვენ გვაქვს როგორც ინგლისურენოვანი, ასევე - ქართულენოვანი სექტორი. **უნივერსიტეტში მოქმედებს მრავლფეროვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, IBSU -ს პროგრამების ხელმძღვანელებს ხშირი კომუნიკაცია აქვთ უცხოელ კოლეგებთან და კონტაქტების მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად იხვეწება. შესაბამისად, ჩვენი კურსდამთავრებულების უმრავლესობა საკუთარი პროფილით საქმდება. ჩვენ გვაქვს 25 წლიანი ტრადიცია, ამ ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება აუცილებელია. ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს ძლიერი აკადემიური პერსონალი, მოწვეული პედაგოგების კვალიფიკაცია, აგრეთვე, ძალიან მაღალია.** ჩვენს უნივერსიტეტში არსებულ სამ ფაკულტეტზე მოქმედებს 40-მდე საბაკალავრო,სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა. **2019 წლის აგვისტოში ამ პროგრამებს კიდევ ერთი ახალი სამაგისტრო პროგრამა შეემატა.** .



გაგრძელება გვ.12

# სწავლებისა და კვლევის ოცდახუთწლიანი ტრადიცია, რომელიც კვლავაც ვითარდება

## ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ საფფეთ ბაირაქთუთანთან

*ლუკა ქოქოსაძე,*
*გია კვეკვესკირი*

*დასაწყისი გვ.11*

**ეს პროგრამა - სახელწოდებით „ციფრული მედია და კომუნიკაცია“- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორის დალი ოსეფაშვილის ინიციატვით შემუშავდა მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, როდესაც ჩვენი ორი პროფესორი საქართველოში აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებული „მედიაგანათლების პროექტის“ ფარგლებში ეწვია ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. პროექტის მიზანი მედიის სფეროს პროფესორთა კვალიფიკაციის ამაღლება იყო და მასში ჩვენი უნივერსიტეტის გარდა საქართველოში მოქმედი 9 უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროფესორები მონაწილეობდნენ. დალი ოსეფაშვილმა ჯერ კიდევ ჩიკაგოში ყოფნისას დაიწყო ახალ სამაგისტრო პროგრამაზე მუშაობა, ამ პროცესში მას უანგარო და კვალიფიციური დახმარება გაუწია ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის ციფრული მედიისა და ამბის თხრობის სამაგისტრო პროგრამის დირექტორმა რიშელ როჯერსმა. მისი კონსულტაციებით ხდებოდა პროგრამის სილაბუსებისა და სასწავლო გეგმის შემუშავება-დახვეწა.** ეს სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს ციფრული კომუნიკაციის სპეციალისტებს,რომლებიც დასაქმდებიან, როგორც ტრადიციულ მედიაორგანიზაციებში, ასევე ნებისმიერ კერძო, თუ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომელსაც ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სფეროში სპეციალისტები ესაჭიროება. ასეთი სპეციალისტების საჭიროება კი სულ უფრო მზარდია.

**-თქვენი დაკვირვებით რომელ პროგრამებზეა დიდი მოთხოვნა?**

-მოთხოვნის თვალსაზრისით პირველია ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, დაწყებული ფინანსებიდან, მარკეტინგის, მენეჯმენტის... კომპიუტერული მეცნიერებების ჩათვლით, ამ ფაკულტეტზე ახალია არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელზე მოთხოვნაც თანდათან მატულობს. შემდეგ მოდის სოციალური, ჰუმანიტრული და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამები - ყველაზე ძველი და ტრადიციული ამერიკანისტიკის ინგლისურენოვანი პროგრამა, ინგლისური ფილოლოგია, ძალიან მოთხოვნადია საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები, საჯარო ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა. შედარებით ახალია, მაგრამ, ასევე, მოთხოვნადია ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა. სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, აგრეთვე, პოპულარობით სარგებლობს. ბუნებრივია, 40-ივე პროგრამას ვერ ჩამოვთვლი, თუმცა დაინტერესებული აბიტურიენტები ყველა პროგრამას ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაზრო წესებიდან გამომდინარე, პროგრამა ვერ იარსებებს.



**-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გამოირჩევა გაცვლითი პროგრამების სიმრავლით. რამდენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს IBSU და მოახდინა თუარა გავლენა პანდემიურმა ვითარებამ გაცვლითი პროგრამების სიხშირეზე?**

-ჩვენ საზღვაგარეთის 135 უნივერსიტეტთან გვაქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პანდემიამ ყველაფერზე მოახდინა გავლენა. რა თქმა უნდა, ამ სეგმენტსაც შეეხო ეს უარყოფითი გავლენა. არამარტო გაცვლითი პროგრამა, საზღვარგარეთ ჩვენი პერსონალის ვიზიტებიც შეფერხდა. ძალიან რთულია საზღვარგარეთ ახლა წასვლა, შიგნით ქვეყანაშიც შეგვეზღუდა ყველაფერი. მართალია, ეს პროცესი შენელებულია, თუმცა არ გაჩერებულა. ერთი კვირის წინ, სამართლის ფაკულტეტზე გვყავდა მოწვეული მიკოლას რომერის სახელობის უნივერსიტეტის (ლიტვა) სრული პროფესორი, დოქ. ვაიდას იურკევიჩიუსი. იგი საქართველოში ჩამოვიდა, ჩვენ ვუმასპინძლეთ, თუმცა საჯარო ლექცია დისტანციურად ჩაატარა, თემაზე - “არაავტორიზებული სააგენტო კერძო სამართალში შედარებითი პერსპექტივიდან”. შემდეგ კვირას ისევ ველით პარტნიორი უნივერისტეტიდან გერმანელ პროფესორს, რომელიც ჩამოვა, მაგრამ საჯარო ლექციას დისტანციურად ჩაატარებს. პანდემიამ სერიოზული დაბრკოლებები შეგვიქმნა, თუმცა ჩვენ არ შეგვიწყვეტია საზღვარგარეთ ჩვენს პარტნიორ უნივერსიტებთან თანამშრომლობა

**-როგორ ეხმარება IBSU კურსდამთავრებულებს დასაქმებაში?**

-შავი ზღვის უნივერსიტეტი დასაქმებაში არამარტო კურსდამთავრებულებს, არამედ -სტუდენტებსაც ეხმარება. უნივერსიტეტში არსებობს კარიერული განვითარების ოფისი, რომლის ხელმძღვანელობით ვპოულობთ სტაჟირებებს, ვაკანსიებს, ვაფორმებთ მემორანდუმებს სხვადასხვა კერძო, თუ საჯარო დაწესებულებებთან, შემდეგ კი ვაგზავნით ჩვენს სტუდენტებს პროფესიულ პრაქტიკაზე. ბევრი მათგანი, თუკი დამსაქმებელს მოეწონა, აგრძელებს მუშაობას და უნივერსიტეტის დასრულებამდე საქმდება.

**-როგორ გაუმკლავდა უნივერსიტეტი პანდემიის თანამედროვე გამოწვევებს?**

-პანდემიის გამოცხადებისთანავე სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმზე გადავიყვანეთ, რამდენიმე ტრენინგითა და შესასწავლი ვიდეორგოლების (ე.წ. ვიდეოტუტორიალების) საშუალებით პედაგოგებმა და თანამშრომლებმა ახალ რეალობას ალღო ავუღეთ, ერთ კვირის შემდეგ ლექტორებიცა და სტუდენტებიც ადაპტირებულები იყვნენ დისტანციური სწავლების პროცესთან. მოგვიანებით, სხვადასხვა დამხმარე პლატფორმებიც შემოვიერთეთ. ონლაინრეჟიმში სამუშაო პროგრამად „გუგლის ჰენგაუთი“ შევარჩიეთ. ონლაინლექციების ჩანაწერები იტვითება ჩვენს ელექტრონულ სასწავლო პლატფორმა „სმარტზე“ (დაშენებულია ცნობილ „მუდლის“ პლატოფრმაზე). დღემდე ვაგრძელებთ ამ პლატფორმებით მუშაობას, თითქმის სამი სემესტრია, რაც სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული რეჟიმი გვაქვს, და, ვფიქრობ, ამ გამოწვევას თავი შესანიშნავად გავართვით. ჯერჯერობით კარგად ვუმკლავდებით ამ პროცესს, პარალელურად ვაკვირდებით საქართველოში როგორ წარიმართება კოვიდვითარება. მოგეხსენებათ, აცრის პროცესი მიმდინარეობს და ჩვენი თანამშრომლების უმეტესობა აიცრა. იმედია, მალე დავამარცხებთ პანდემიას და სექტემბრიდან სწავლის ჩვეულ რეჟიმს სრულად დავუბრუნდებით.

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი CEEMAN-ის წევრი გახდა

CEEMAN წარმოადგენს მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ასოციაციას, რომელიც 1993 წელს დაარსდა. ასოციაციის მიზანია მენეჯმენტის ხარისხის განვითარება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ დროისათვის CEEMAN წარმოადგენს გლობალურ ქსელს ინსტიტუტებისათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან განათლების ხარისხითა და ინოვაციური მიდგომებით მენეჯმენტის დარგში. CEEMAN -ს ყავს 200 წევრი, ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ლათინური ამერიკის 50 ქვეყნიდან.




# მემორანდუმი IBSU-სა და ქართულ-გერმანულ სკოლა “სხივს” შორის

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ქართულ გერმანულ სკოლა “სხივს” შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, დოქ. საფფეთ ბაირაქთუთანმა და გერმანული სკოლა „სხივის“ დირექტორმა ეკა ჩიქობავამ მოაწერეს. **აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში გერმანული სკოლა “სხივის” კურსდამთავრებულები, სკოლის თანამშრომლები, მათი შვილები და ასევე, კურსდამთავრებულთა შვილები სპეციალური პირობებით შეძლებენ სწავლას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებზე.**




# ჩინური და კორეული ენების შესწავლის შესაძლებლობა IBSU-ს სტუდენტებს

2021-2022 აკადემიური წლიდან უცხო ენის კომპონენს დაემატება ჩინური და კორეული ენები. შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ინგლისურ ენის ბ2 დონის მიღწევის შემდეგ სთავაზობდა ხუთ უცხო ენას: **გერმანულს, ფრანგულს, თურქულს, რუსულსა და ესპანურს. მომდევნო წლიდან კი სტუდენტები ჩინური და კორეული ენების დაუფლებასაც შეძლებენ.**




# მემორანდუმი IBSU-სა და კომპანია “მსახურება სამართლიანობისთვის” შორის

2021 წლის 25 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და კომპანია “მსახურება სამართლიანობისთვის” შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორნადუმით გათვალისწინებული პირობების თანახმად, **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პროფესიული პრაქტიკა გაიარონ კომპანიაში.**




*გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა*

გაზეთი ეკუთვნის შპს “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს” ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ. 2 თბილისი, საქართველო 0131